


# საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, დღემდე ბეჭდუდი სიფყვას, ცყულებით და ჩაბრებით ბუდთის გაფანა ყულა უკადრისდბაგე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 17 აპრილი, 2013 წელი.

№71 (7198)


# რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: [sakresp@mail.ru](mailto:sakresp@mail.ru) და [sakresp@wanex.ge](mailto:sakresp@wanex.ge) ვებ გვერდი: [www.open.ge](http://www.open.ge) ფასი 50 თეთრი.



**პრაზიდიენტი** 2  
**თვითგანადგურების**  
**რეჟიმზე გადავიდა**

**დათა ახალაია**  
**ხელს ადებს:**



საქართველოში  
 დაბრუნებული  
 მკაცრი  
 უბედურების  
 სათავე ვაწყო  
 მკაცრი  
3

**ივედის ნაპერწკალი**

## ეჰ, ტვინი, ტვინი!

**გუშინ „რუსთავი-2“-მა ტვინზე მოაწყო გადასვლა, რაც კარგ ნიშნად მჩვენებს**

ამ ბოლო რამდენიმე თვეში საქართველოში ძალიან ბევრი რამ შეიცვალა ან იქნებ უფრო სწორი იყოს, თუ ვიტყვი, რომ ბევრმა ვინმემ შეცვალა თავისი მსოფლმხედველობა და, ცხადია, პოზიცია. არ შეცვლილა მხოლოდ „რუსთავი-2“, რომელიც ისევ ძველებურად უბერავს თავის მიშურ მუნამბაზს, რადგან, ჩანს, დარწმუნებულია, რომ ნაციონალები, რომლებიც დღემდე ძალზე მყარად „ზედწამწამზე უსხედან“ (აქ იგულისხმება ათას ნაციონალურ უბედურებაში გახლართული ნიკა გვარამიას წამწამები), ხვალ ისევ თავ-თავიანთ სავარძლებში ჩასხდებიან და „რუსთავი-2“ ისევ გამარჯვებული (იგულისხმება დამარცხებული) სალხის ტელევიზია გახდება. აკი სწორედ ამას იმედოვნებს „კომერსანტის“ ფურცლებზე „თავისუფლების ინსტიტუტის“ გამგეობის კარგა ხნის თავზე მჯდომარე არცთუ უტვინო თუ ტვინნაკული, „წყალებეშა“ იდეოლოგი ლევან რამიშვილი, ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში დაბრუნდება... ასეთი მსოფლმხედველობა და ასეთი პოზიცია, რასაკვირველია, ბევრს გარკვეულწილად უტვინობად მიაჩნდა და მიაჩნია. ცხადია, ეს უფრო ილუზია, ანუ როგორც ლექსიკონი განმარტავს, სინამდვილის დამახინჯებულად, მცდარად აღქმა გრძობათა მცდარობის შედეგად, ანუ განუხორციელებელი იმედი და ოცნებაა, რაც საბოლოოდ ისევ და ისევ უტვინობიდან მოდის.



და აი ვერცა!  
 როგორც ჩანს, „რუსთავი-2“ და რუსთავორელები ახალი ვითარების მეშვიდე თვის თავზე მიხედნენსავით, რომ ტვინის პრობლემა უდგათ და თითქმის მთელი ერთსაათიანი გადაცემა მიუძღვნეს (გუშინ, 12-სათიანი კურიერის შემდეგ!) ტვინს, ანუ მეცნიერულად თუ ვიტყვი, ადამიანისა და უმადლესი ცხოველების ცენტრალური ნერვული სისტემის უმთავრეს ორგანოს.  
 არადა, ტვინი მართლაც უმთავრესი ორგანო რომ არ იყოს, განა ამდენი გამოთქმა იქნება ტვინთან დაკავშირებული. აგერ თუნდაც ცოტა გავისხენოთ: ტვინი აემღვრა, ტვინი აერია (სააკაშვილის ამჟამინდელ მდგომარეობას უკეთესად ვერ იტყვი!), ტვინს ამოართმევს (ამოაცლის), ტვინს ამოსწოვს

(დავით ბაქრაძეს სააკაშვილი!) სისტემაში ტვინში აუვარდება, ტვინი გადაუბრუნდება (რა დღემდე ვანო მერაბიშვილია!) ტვინს გამოულაყებს, ტვინს გაუხვრეტს (ივანიშვილი სააკაშვილს, თუმცა, ისედაც გამოლაყებულსა და გახვრეტილს), და, ბოლოს, ტვინის ძაფებს ამოქმედებს (დაძრავს)... ეს, ცხადია, უკვე ნათქვამია თვითონ „რუსთავი-2“-ზე, რომელმაც, როგორც იქნა, ამოქმედა ჯერ კიდევ შერჩენილი ტვინი და საგანგებო გადაცემა მიუძღვნა პატივცემულ ზემოსხენებულ უმთავრეს ორგანოს.  
 ოღონდ დასანანი ის არის, რომ ამ „ტვინზე გადაცემაში“ კაცთაგან ნაციონალურად შეჯავშნულ-შეჯაჭვული გოგოტიშვილი თენგიზი არ მონაწილეობდა, ხოლო ქალთაგან ნაციონალურადვე ჩაჩხტიკოპებულ-ხელბდაკვანული ბალაშვილი თამარი – „რუსთავი-2“-ის ეს ორი დედალ-მამალი კაჭკაჭი...  
 ისე, ალაღად ისიც უნდა ვთქვა, რომ, ღმერთმანი, გულში ივედის ნაპერწკალი გამიჩნდა: ამ ფრიად საგულისხმო გადაცემის შემდეგ მაინც შეეშვას „რუსთავი-2“ ჩვენი, მსმენელ-მაცურებლის, ტვინის ადუღებას!  
 თორემ ტვინადუღებული ხალხი, უნდა მოგესხენებოდეთ, მტრისას!

გურამ ნიკლაური

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვავბან ვერ ნახავ!..**

ახალი ელჩი



არჩილ გეგეშიძემ ბარაკ ობამას რწმუნებათა სიგელები გადასცა

სამხარეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, არჩილ გეგეშიძემ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამას რწმუნებათა სიგელები გადასცა. ამის შესახებ ინფორმაციას საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

ბატონო ელჩო, საქართველოსთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავება ჩვენთვის ძალზედ მნიშვნელოვანია და ამ მიზნით მე ველოდები თქვენთან თანამშრომლობას, — განაცხადა ცერემონიაზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ.

არჩილ გეგეშიძემ კი აღნიშნა, რომ მისთვის დიდი პატივია, წარმოადგენდეს საქართველოს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

არჩილ გეგეშიძე ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს მესამედ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია.

მთავარი პროკურორი

პრეზიდენტი ხელშეუპყალია და მისი დაპითხოვება იმულებით მიყვანა არ უმიძღვება

ამის შესახებ მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა „ინტერპრესნიუსს“ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პოზიციის კომენტარებისას განუცხადა, რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტი აგვისტოს ომის თემაზე გამოძიებასთან თანამშრომლობას არ აპირებს.

კბილაშვილის განმარტებით, თუ სააკაშვილი დაკითხვაზე გამოცხადდება უარს იტყვის, ყველა პროცედურა გაჩერდება მანამ, სანამ მას პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა არ ამოწურდება.

საქართველოს კანონმდებლობა არის ასეთი მოცემულობის — მონის სახით რომ პირი დაიკითხოს, კანონი არ იცნობს არანაირ გამონაკლისს, ეს ეხება პრეზიდენტსაც და სხვებსაც. სხვა საკითხია, როცა მონმედ გამოძახებული პირი უარს ამბობს დაკითხვაზე. თუ იქნება ისეთი შემთხვევა, რომ პრეზიდენტი იქნა გამოძახებული მონმედ, არ გამოცხადდება ან უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე, მაშინ ვერავითარი პროცედურა ვერ ჩატარდება, რადგან კონსტიტუციის ძალით პრეზიდენტი ხელშეუპყალია და არ შეიძლება მისი იძულებით მიყვანა დაკითხვაზე. ამ შემთხვევაში ყველა ეს პროცედურა გაჩერდება მანამ, სანამ პრეზიდენტს შესაბამისი უფლებამოსილება არ ამოწურება. მართალია, სახეზე გვექნება დარღვევა, რაც გამოხატული იქნება იმით,

რომ ის დაკითხვაზე და ჩვენების მიცემაზე უარს განაცხადებს, მაგრამ რაიმე სამართლებრივი მექანიზმი პრეზიდენტობის პერიოდში კანონით გათვალისწინებული ვერ იქნება, — აღნიშნა არჩილ კბილაშვილმა.

მთავარი პროკურორის განმარტებით, პრეზიდენტის უფლებამოსილების ვა-



დის გასვლის შემდეგ ის ხდება ჩვეულებრივი მოქალაქე და წარსულში არსებული უფლებები აღარ უნარჩუნდება.

რაც შეეხება უშუალოდ აგვისტოს ომის ხელახალი გამოძიების საკითხს, უნდა იქნას გამოძიებული ომის სამართლებრივი მხარე. საუბარია იმის დადგენაზე, ჰქონდა თუ არა ადგილი ომის დანაშაულს. ჩვენ არ განვასხორციელებთ მომხდარის საზოგადოებრივ პოლიტიკურ შეფასებას და არ შევისწავლით მიზანშეწონილობის საკითხს, — აღნიშნა არჩილ კბილაშვილმა.

როლანდ ახალიაიამ „ნაციონალური მოძრაობა“ დატოვა?

სოციალურ ქსელ „თბილისი ფორუმზე“ ცოტა ხნის წინათ გაგრძელდა ინფორმაცია, რომ დეპუტატმა როლანდ ახალიაიამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დატოვა.

„გავრცელებული ინფორმაციით როლანდ ახალიაიამ ნაციონალური მოძრაობა დატოვა. მან განცხადება საკომიტეტო მოსმენის დროს გააკეთა და აღნიშნა, რომ შეუერთდება დამოუკიდებელი დეპუტატების ფრაქციას. — „მე მორალური უფლება არ მაქვს, რომ დავერჩე ნაციონალურ მოძრაობაში. ამ დრომდე თავს ვიკავებდი, მაგრამ ჩემი შვილის მიერ გავრცელებული მიმართვის შემდეგ ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა. არასოდეს მილატოვია პრინციპებისთვის, ქვეყნისთვის და არც ახლა ვაპირებ არასწორი ნაბიჯის გადადგმას“ — განაცხადა როლანდ ახალიაიამ.



მისივე თქმით, ის დარწმუნებულია თავისი შვილის სიმართლეში და ადასტურებს, რომ წერილი დათას დაწერილია. — „რამოდენიმე დღის წინათ სკაიპით ვესაუბრე დათას. პირდაპირ არ უთქვამს მაგრამ მიანიშნა ამ ყველაფერზე. დღეს უკვე ჩემთვის ნათელი გახდა თუ რისი თქმა სურდა მას“ — აღნიშნულია გაგრძელებულ ინფორმაციაში.

ჯალათები თუ მსხვერპლი?

მამუშა პრეზიდენტის შეფასებით მერაბიშვილსა და ახალიაიებს შორის არსებული დაპირისპირების შესახებ გაგრძელებული ინფორმაცია დასტურდება.

არეშობის განცხადებით ის ფლობდა ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც ძემბ ახალიაიებსა და მერაბიშვილს შორის დაპირისპირება გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით არსებობდა. მათ შორის ერთ-ერთი იყო ლაფანყურის სპეცოპერაციის საქმე.


ექსპერტ გია ხუხაშვილის აზრით კი, ახალიაიები ვანო მერაბიშვილის, მიხეილ სააკაშვილის და ზურაბ ადეიშვილის მკაცრი რეჟიმის მსხვერპლი იყვნენ.

„ისინი იყვნენ შემსრულებლები და ეს განცხადება ამას ადასტურებს. დათა ახალიაიას ამ ყოველივეს გასაცნობიერებლად და იმის დასანახად, რომ ეს ყველაფერი სხვების მიზნების ასრულებისთვის მხოლოდ ინსტრუმენტი იყო, გარკვეული დრო დასჭირდა. დღეს დადა რეალობის წინაშე, როდესაც მისი ძმა ციხეშია და მასაც მსგავსი სანქციები ემუქრება, სამწუხაროდ ძალიან ბევრი დანაშაულის გამო და გააცნობიერა, რომ სინამდვილეში ძალაუფლების მოყვარული ადამიანების მანიპულირების ინსტრუმენტი აღმოჩნდა“, — განაცხადა ხუხაშვილმა, იუნყება ინტერპრესია.

პოლიტიკური აჯაფსანდალი

პრეზიდენტი თვითგანადგურების რეჟიმზე გადავიდა

ბოლო პერიოდში აქტიურად ვრცელდება ინფორმაცია, „ნაციონალური მოძრაობაში“ არსებული დაპირისპირების შესახებ. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ პარტიის ერთი ფრთა პრეზიდენტს გარკვეული საკითხების გადაწყვეტისას წინააღმდეგობას უწევს, საკუთარ მომავალზე ფიქრობს და არ სურს სააკაშვილს პოლიტიკურ სამარეში ჩაბყვას. ამის პარალელურად, ქართულ მედიაში გაგრძელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ლიკვიდაციას გეგმავს.



„როგორც ვწარმოგვთქვამთ, ვანო მერაბიშვილმა სააკაშვილს მასზე ტერაქტის იმიტაციის მოწყობა შესთავაზა. ხაზს ვუსვამ, საუბარი იყო ტერაქტის იმიტაციაზე, რა-

საც სააკაშვილი დათანხმდა. თუმცა, შემდეგ „ნაციონალური მოძრაობა-დან“ სხვა ადამიანებმა სააკაშვილს უთხრეს, რომ შესაძლოა, ეს იმიტაცია კი არა, რეალური ტერაქტი იყოს, რადგან მერაბიშვილს მისი მოშორება სურს“, — ამბობს მამუკა არეშიძე.

მისი თქმით, არ აქვს ინფორმაცია, რეალურად რამდენად არის ამის ჩამდენი ვანო მერაბიშვილი, თუმცა მიიჩნევს, რომ გარკვეული ლოგიკა ამ ყველაფერში არის, რადგან ასეთ შემთხვევაში, მერაბიშვილი ერთი გასროლით რამდენიმე კურდღელს მოკლავდა. ჯერ ერთი, მოშორება ადამიანს, რომელიც უკვე დისკომფორტს ქმნის და რომელიც ისედაც პოლიტიკიდან წამსვლელია. ამასთანავე, დასავლეთის თვალში მოახდენდა ხელი-

სუფლების სერიოზულ დისკრედიტაციას. და ბოლოს, ვანო მერაბიშვილი დარჩებოდა, როგორც დაჩაგრული პარტიის ლიდერი, რომელსაც ამავედროულად დასავლეთში კარგი კავშირები აქვს. ამით არეშობის თქმით, მერაბიშვილი ბევრად უფრო მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, ხოლო ხელისუფლება უაღრესად დისკრედიტირებული იქნებოდა.

გარდა ამისა, მამუკა არეშიძის თქმით, აქვს ინფორმაცია, რომ სააკაშვილმა პირადი დაცვა გააძლიერა და ვანო მერაბიშვილის კადრებისგან განმინდა.

„ეს ინფორმაცია თავად „ნაციონალური მოძრაობიდან“ არის გამოსული და ამის გადამოწმება ძალიან რთულია, მით უმეტეს ჩემი პროფესიის ადამიანისთვის, რომელსაც პრეზიდენტის დაცვასთან პირდაპირი შესება ვერ ექნება. აქვე გეტყვით, რომ ზოგადად აქ გარკვეული კითხვები ჩნდება“, — ამბობს ექსპერტი.

ნ. 5 გვ.

ფაისუმიდან

წერტილოვანი ფრაზები

- პალიკო სად დაიკარგა? ხომ კარგადაა? ვინ აჭმევს, ვინ ასმევს, ვინ ურეცხავს?
- „ნაცმოძრაობის“ კონცერტი-აქცია „არ გააჩერო ანაკლია“... ნაუსნიკერსე და ისე...
- კაი გვარიან მაფიასთან გვაქვს საქმე. მალე პოლიტიკური მკვლელობების სერიებიც აგორდება აბა!!!
- ვინ საუბრობს ღირსებაზე საერთოდ?!... გიგა ნასარიძეს ხმა როგორ უნდა ამოეღებოდა საერთოდ, ეს რომ ქვეყანა იყოს...ნესით და რიგით დღეს მოუღურტულე ბიჭუნების და გოგონების 99% ციხეებში უნდა იჯდეთ, მაგრამ ვინაა თქვენი მიმხედვით, აშშ გვატრონობთ ყველას.
- ეს, რა დრო იყო წაღმა უკუღმა რო დაარბენიბდნენ 3000-4000 მიკრო ავტობუსს!!!... ახლა კიდევ 16 „მარშრუტკა“ გაუხდათ სახვეწარი. ამაზე ზედგამოჭრილი „დრონი მეფობენ და არა მეფენი“-ო.
- როდის დამთავრდება? ჩიკატილოს მიწვევები ტელევიზიებში! ვინც მაგან დახოცა, ცემა და აწამა, იმათი და იმათი ოჯახების არ გრცხვენიათ? ფუ თქვენი ძონძი ტელევიზიების დედაც...
- ის „გენიოსი შემოქმედები“, რომლებიც ცხრა წლის განმავლობაში ჩუმად იყვნენ, არ აფიქსირებდნენ თავის პოზიციას, მედლებს იღებდნენ და პატივისცემას მოძალადე მკვლელების მხრიდან, ღირსნი არიან, რომ მათი შედეგური, ნამდერ, ნაცეკე, დადგმულ, დაწერილ, დახატულები, ქართველმა ერმა „დაახვიოს“ და ერთ ადგილას გაუკვეტოს!
- ბიძინას გამორჩენამდე იდგა მომივიდა, არასამთავრობოსი. პროექტს ერქვა: უმუშევართა კავშირი არჩევნების მონიტორინგში. კახა

კუკავასთან მივედი რჩევის საკითხავად, როგორ მოვიპოვო გრანტი-თქო. კახამ: ერთი შანსი გაქვს, თუ დაირქმევ უმუშევარი გეგები არჩევნების მონიტორინგში, უეჭველი დაგაფინანსებენო. მაგდენს რა დამაღვივებდა? — შევეშვი!

- „რუსთავი-2“-მა გადმოსცა თურმე ხელისუფლება და ოპოზიციის ერთმანეთის ფარული მოსმენებით არის დაკავებული. მე კი სულ მეგონა, რომ ქართველებს ერთმანეთის მოსმენის კულტურა არასოდეს გვქონია.
- გამოყვანილმა კაციჭამია ვირთხებმა ერთმანეთის ჭამა დაიწყეს. ვინ ვის, საკითხავი აი, ეს არის!
- ეპისტოლარული უანრი ყვავის საქართველოში. რაღაცას ხლართავენ ეს ტვინდახლართულები, მაგრამ ეჭვი მაქვს ფეხი არ ჩაუვათ. „კარგი“ სკოლა გავიარეთ 9 წლის განმავლობაში.
- ნაცებო, დღეს დათა ახალიაიები ხართ, თუ ვანო მერაბიშვილები?!
- თქვენი მონოლითურობა არ გაიშვა, თქვენი. ვანო ეს არის შენი სიურპრიზი?
- ნაცების სპეკულირება ომში დაღუპული ბიჭების სახელით, იმ ჩასუქებულ ნაძირალას მაგონებს შიმშილით გარდაცვლილი ნათესავის ქელეხში ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელოებს რომ იძახის!!!

გიგა ბაზარიშიძე



# დათა ახალაია ხელს ადებს: საქართველოში დაბრიალებული მრავალი უბედურების სათავე ვანო მერაბიშვილი



კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი მალაჩინოსანი დათა ახალაია მათი ოჯახის წინააღმდეგ აკორებული კამპანიის ინიციატორად ყოფილ შს მინისტრ ვანო მერაბიშვილს ასახელებს. ახალაია სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გავრცელებულ განცხადებაში წერს: „აგერ უკვე მეზვიადე თვეა სამშობლოდან გადახვეწილი ვაგვირდები ქვეყანაში მიმდინარე მტკიცეულ პროცესებს. ვფიქრობ, ვანალი ზებ წარსულს და სულ უფრო მიმყარდება რწმენა იმისა, რომ საქართველოში დაბრიალებული მრავალი უბედურების სათავე ერთი კაცი, — კაცი, რომელმაც ჩვენთან — ჩემთან

დათა ახალაიას ადვოკატი ირაკლი ზაქარეიშვილი აცხადებს, რომ ჰქონდა სრული უფლებამოსილება, მისი დაცვის ქვეშეყოფის მიერ ფეისბუქით გავრცელებული განცხადების ნამდვილობა დაედასტურებინა. ირაკლი ზაქარეიშვილი შესაბამისი განცხადება გაავრცელა, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ: „ზოგიერთი თავშეუკავებელი პერსონა ჩემი კომპეტენციის შეფასებით არის დაკავებული... დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ ვაცხადებ, რომ დავით ახალაიას ჩემი სახით ჰყავს საკმაოდ გამოცდილი და კვალიფიციური ადვოკატი, რომლის შეცდომაში შევყვანა იოლი საქმე არ არის. დიას, მე ურუნაღიანებს დაუფრთხვებ, რომ ფეისბუქის გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება ეკუთვნის ვანო მერაბიშვილს. ამ განცხადების გაკეთებისას, ცხადია, მე მქონდა საინფორმაციო შესაბამისი ხარისხის მქონე ინფორმაცია და გავრცელებული განცხადების ტექსტის დავით ახალაიასადმი კუთვნილების დადასტურების უფლებამოსილება.“

მიმართა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ჩემი მხრივ განმარტებითი სახითის მქონე განცხადების გაკეთებისაგან თავის შეკავება იქნებოდა როგორც საკუთარი თავის, ასევე — საზოგადოების უბატიცემულობა“, — აცხადებს ზაქარეიშვილი. „ინტერპრესნიუსს“ ახალაიას ადვოკატმა ზაქარეიშვილმა გუშინვე დაუდასტურა, რომ ეს განცხადება ნამდვილად მისი დაცვის ქვეშეყოფს ეკუთვნის. თავად ახალაიას ოჯახის წევრებსა და ახლობლებს „ფეისბუქით“ გავრცელებული განცხადების ნამდვილობაში ეჭვი ეპარებათ.

ნამშრომლობა და საგამოცემო უწყებისთვის დანაშაულებრივ ფაქტებზე ობიექტური ინფორმაციის მიწოდება, ეს იქნება ერთ-ერთი სწორი პოზიცია, რომელიც უნდა აირჩიონ, — აღნიშნა ბესელიამ.

## მთავარი პროკურორი პარაპოზს

მთავარი პროკურორის არჩილ კვიციანი შეიქცა დედაც, ცისის სკანდალური კადრების საზღვარგარეთ გატანა ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებული არ არის. როგორც კვიციანი შეიქცა დედაც, ცისის სკანდალური კადრების საზღვარგარეთ გატანა არ არის დაკავშირებული ვანო მერაბიშვილთან. ჩვენი ინფორმაციით, კადრების გატანა მოხდა სხვა წყაროებით“, — აღნიშნა არჩილ კვიციანი. მისივე განმარტებით, „თუ დათა ახალაიას აქვს მტკიცებულებები იმისა, რაზეც განცხადებაში საუბრობდა, შეუძლია დაადასტუროს, რომ კადრები შექმნილია და საზღვარგარეთ გატანილია სწორედ ვანო მერაბიშვილის კეთვებით, მისი ჩამოსვლის შემთხვევაში, ჩვენ ამ საკითხით დავინტერესდებით და ვანარშობთ გამოძიებას“, — აღნიშნა კვიციანი.

## მთავარმა პროკურორმა არჩილ კვიციანი შეიქცა დედაც, ცისის სკანდალური კადრების საზღვარგარეთ გატანა ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებული არ არის

მისი ინფორმაციით, დათა ახალაია ბრალდებულია ერთ-ერთ სისხლის სამართლის დანაშაულში პოლიციელ ახარაშვილის საქმეზე. „ამიტომ, თუ იგი საქართველოში ჩამოვა, ამ დონისთვის ფარგლებში დავაპატიმრებთ. შემდეგ როგორ განვითარდება მოვლენები, რა ჩვენებას მისცემს იგი ამ თუ სხვა საქმეებთან დაკავშირებით, მომავალი გვარჩევს. საქართველო, მისი ყველა მოქალაქის სამშობლოა. სისხლის სამართლებრივი პროცესი პირებს სხვადასხვა სტატუსის ანიჭებს. გამოძიებას დათა ახალაიასთვის ბრალი აქვს წარდგენილი და თუ დაფრწუნდებით მის ბრალდებაში, დევნას განვაგრძობთ, თუ არა — შევწყვეტთ“, — განაცხადა კვიციანი. მისივე ინფორმაციით, დათა ახალაიას სოციალურ ქსელში გავრცელებულ განცხადებასთან დაკავშირებით გამოძიება ამ ეტაპზე არ მიმდინარეობს. როგორც მთავარმა პროკურორმა განმარტა, პროკურატურა დათა ახალაიას სახელით გავრცელებულ განცხადებას გაეცნო, თუმცა, მასში დასახელებული ფაქტების შესასწავლად საჭიროა დაზუსტებით იმის ცოდნა, რომ განცხადება ნამდვილად დათა ახალაიას ეკუთვნის. „ეს დაზუსტება მოხდება მაშინ, თუ იგი ჩამოვა და მისცემს ჩვენებს სამართალდამცავებს. ამ შემთხვევაში, იმ ფაქტებს, რომელიც, სავარაუდოდ, მის განცხადებაშია მოვყვანილი — ლაფანყურის, ცისის კადრების შექმნა და საზღვარგარეთ გატანა, იალღუჯაზე ჯარისკაცების არაადამიანური მოპყრობა, გადავამოწმებთ ამ ჩვენების დადასტურების ან უარყოფის თვალსაზრისით. ვიდრე არ ვიცით, დანამდვილებით მას ეკუთვნის თუ არა ეს განცხადება და არ მისცემს ანალოგიურ ჩვენებას, არანაირი გამოძიება ამ განცხადებასთან დაკავშირებით არ წარმართება“, — განაცხადა არჩილ კვიციანი.

## გამოცხადებული პრეპერი პრ პრის

იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ვანო მერაბიშვილი განმარტავს, რომ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი მალაჩინოსანი დათა ახალაიას მნიშვნელოვანი დოკუმენტები ჰქონდეს.

როგორც ხმალიძემ ახალაიას გუშინდელ განცხადებაზე კომენტარებისას ურუნაღიანებს განუცხადა, მალაჩინოსანი თანამდებობის პირები ხშირად მნიშვნელოვანი დოკუმენტების ასლებს აკეთებენ და „პირად სამალავებში ინახავენ“. „დათა ახალაიას თავისი თანამდებობიდან გამოდინარე, ჰქონდა ძალიან დიდი ინფორმაცია, იცოდა ბევრი ისეთი რამ, რაც პირთა მხოლოდ ძალიან ვიწრო წრეს შეიძლება სცოდნოდა. შესაბამისად, თუ დათა ახალაია დაინტერესებულია მისი ცოდნის, ეს ბევრ რამეს მოსწავს ნათელს. აქვე მინდა შეგახსენოთ, რომ არჩევნების შემდეგ ურუნაღიანებს აჩვენებდნენ კადრებს, როცა სხვადასხვა სამართალდამცავი უწყების ტერიტორიაზე წავიდნენ რაღაც საბუთებს. მოგახსენებთ, კვამლი უცვლელად არაა და თუ წავიდნენ, ე.ი. ჰქონდათ მისი განადგურების საფუძველი. ამავდროულად, არის სპეციფიკა, როცა მალაჩინოსანი თანამდებობის პირები თავიანთთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების ასლებს ამზადებენ და პირად სამალავებში ინახავენ. ასე რომ, რა იცით რა მოხდება, რა იცით ქარი საით დაუბერავს“, — განაცხადა ვანო მერაბიშვილი.

„დათა ახალაიას თანამდებობიდან გამოდინარე, ჰქონდა ძალიან დიდი ინფორმაცია, იცოდა ბევრი ისეთი რამ, რაც პირთა მხოლოდ ძალიან ვიწრო წრეს შეიძლება სცოდნოდა. შესაბამისად, თუ დათა ახალაია დაინტერესებულია მისი ცოდნის, ეს ბევრ რამეს მოსწავს ნათელს. აქვე მინდა შეგახსენოთ, რომ არჩევნების შემდეგ ურუნაღიანებს აჩვენებდნენ კადრებს, როცა სხვადასხვა სამართალდამცავი უწყების ტერიტორიაზე წავიდნენ რაღაც საბუთებს. მოგახსენებთ, კვამლი უცვლელად არაა და თუ წავიდნენ, ე.ი. ჰქონდათ მისი განადგურების საფუძველი. ამავდროულად, არის სპეციფიკა, როცა მალაჩინოსანი თანამდებობის პირები თავიანთთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების ასლებს ამზადებენ და პირად სამალავებში ინახავენ. ასე რომ, რა იცით რა მოხდება, რა იცით ქარი საით დაუბერავს“, — განაცხადა ვანო მერაბიშვილი.

აღნიშნულ საკითხზე ურუნაღიანების კომენტარი გააკეთა ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ევა ბესელიამაც. მისი განცხადებით, „ყოფილი თანამდებობის პირების გამოძიებასთან თ-

და ჩემს ძმასთან — ბროლას გადააყოლა ხელისუფლება და ქვეყანა. ამ ერთი კაცის დაუბრუნებლმა ლტოლვამ ძალიან უფლებსაყენ, ანგარებამ და უბუნურესი ფორმებით წარმოებულმა ფარულმა ომებმა შეინარა ჩვენი ხელისუფლება. მე ღრმად მწამს, რომ არა ვანო მერაბიშვილი, — ნაციონალური მოძრაობა“, მიუხედავად შეცდომებისა, ასე გამანადგურებლად არ დამარცხდებოდა არჩევნებში“.

ამასთან, ის სრული პასუხისმგებლობით აცხადებს: „მე გამაჩნია მტკიცებულებები, რომ ლაფანყურის „ავანტიურა“ ჩემი ძმის — ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ დაგეგმა და გიორგი ლორთქიფანიძის ხელით განახორციელა თავად ვანო მერაბიშვილი. განირა რა სასიკვდილოდ ჩვენი მებრძოლები, უკიდურესად გაგვირთულა ურთიერთობები ჩვენ ქისტ ძმებთან და რეალური საშიშროების წინაშე დააყენა ქვეყნის უსაფრთხოება და საერთაშორისო იმიჯი. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ და მე ასევე მაქვს ამის მტკიცებულებები, რომ სწორედ ვანო მერაბიშვილი, ჩემს ძმას შეურისძიების მიზნით, ამირან მესხელის ხელით უზრუნველყო ცისის ამაზრზენი კადრების შექმნა და საზღვარგარეთ უსაფრთხოდ გადაგზავნა, რამაც საბოლოოდ დაანგრია ჩვენი ხელისუფლების ისედაც დაზიანებული იმიჯი და გადაამწყვეტი როლი ითამაშა ჩვენს დამარცხებაში. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ვანო მერაბიშვილი დაგეგმა და შალვა ჯანაშვილის ხელით განახორციელა იალღუჯაზე ჩვენი ჯარისკაცების მიმართ ძალიან და არაადამიანური მოპყრობა, რისთვისაც ახლა ჩემს ძმას ასამართლებენ“, — ამტკიცებს ახალაია.

ამასთან, კუდის ყოფილი მალაჩინოსნის განმარტებით, რომელმაც საქართველო არჩევნების შემდეგ დატოვა, „ერთი რამ დღესაც ვიცი ნათელია — საკუთარ ყოვლისშემძლეობაში ბრიყვულად დარწმუნებულმა მერაბიშვილმა ივარაუდა, რომ მხოლოდ ახალიები დაზარალებულდნენ მისი დანაშაულებრივი ავანტიურების წყალობით და თვითონ კვლავ ხელისუფლების ოლიგარქი დარჩებოდა, რადგანაც არჩევნებში გამარჯვება გარანტირებული ეგონა“.

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი მალაჩინოსანი დათა ახალაია უახლოეს მომავალში საქართველოში დაბრუნების პირობას დებს. როგორც ახალაია სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ საკუთარ გვერდზე წერს, ის პასუხისმგებლობას არ გაურბის და სწორედ ამიტომ არ აპირებს ემიგრაციაში თავის შეფარებას.

# ვინ არის ამ ყველაფრის ჩაქიშორი?

თუ რას ვისახებთ დათა ახალაიას სენსაციური განცხადება, ამ თემაზე მისამართი სათავეს ვაყენებთ. მისი განცხადების პასუხია, დათა ახალაიას რომ ამის სურვილი დამოუკიდებლად არ აღუფრთხვია, ცხადია. საქმე გვაქვს იმასთან, რა დიდოსტატურად შლიან „ნაციონალურ მოძრაობას“.

კულუარებში საკმაოდ აქტიურად ლაპარაკობდნენ, რომ ნაციონალურ მნიშვნელობა გეგმა, რომლის მიხედვითაც 19 აპრილს სააკაშვილს ძალიან მინისტრები უნდა გადაეყენებინა, რომ თავი ნაციონალურ ალორძინება დაინყებოდა, როგორც ჩანს, ნაციონალურ თემა საერთოდ ისწავლა დღის წესრიგიდან? — ში ნაციონალური დასრულდებიან. სხვათა შორის, გარკვეული მედიასაშუალებები გახდა კარგი ინდიკატორი „ნაციონალურ მოძრაობაში“ განვითარებული მოვლენებისა და ასე ვთქვათ, ნაციონალურების შიშების, ანუ რისი მოლოდინები აქვთ და ა.შ.

ერთ-ერთი ასეთი მედიასაშუალებაში დღეს ლაპარაკი იყო იმაზე, რომ 19 აპრილამდე გამოქვეყნდებოდა სკანდალური ფაქტები, რომელიც ნაციონალურში დიდ განხილვას გამოიწვევდა. იმავე საღამოს დათა ახალაიას ეს განცხადება გავრცელდა. თუ ასეა და მერაბიშვილი ეს შეგნებულად გაუკეთა ახალაიას, დააკვირდით რა სქემა თამაშდება, ეს ყველაფერი გენიალური პოლიტიკოსისთვის გეგმას ჰგავს — მერაბიშვილი გამოიყენებს „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ. ის პოლიტიკური ძალა, რომელმაც ეს ვიდეოჩანაწერი გამოიტანა სააკაშვილზე, ვგულისხმობ, თარსან-მოურავს, დღეს უკვე გამსაკუთრებული აქტიურობით გამოიჩინება. მას, როგორც ფიგურანტს ეს დაუფასდა, ერთ-ერთ ინტერვიუში ის ამბობს, რომ ქუთაისის საკრებულოში უმრავლესობის ფრაქცია შექმნა მისმა პოლიტიკურმა ძალამ და ეს ერთ თვეში მოვლდა დასავლეთ საქართველოს მოედებო. ასევე არ მალავს, რომ პრემიერ-მინისტრის მხარდამჭერები არიან, თუმცა, როგორც ამბობს, სერიოზული წი-

ნამდევობა გვაქვს კოალიციაში შემავალი პარტიების მხრიდან. რაც შეეხება მერაბიშვილს, ვერც ის გამოიყენებს, ახლა ახალიები იყენებენ მერაბიშვილის გასანადგურებლად, ანუ ვერც მერაბიშვილის ხელით ჩასცეს ლაფანყური „ნაციონალური მოძრაობას“ და ახლა საბოლოო წერტილს უსვამენ ახალიების ხელით. ამის რეჟისორი ვინ არის, სააკაშვილი თუ ივანიშვილი? ვის ანყოფს ეს ყველაფერი, ცხადია და ვის შეეძლო, ამისი ეჭვებიც არსებობს. — არ ვიცი, კონკრეტულ სახელსა და გვარს ვერ ვიტყვი, თუმცა, გენიალური რეჟისორი რომ არის, ფაქტია. ყოველ შემთხვევაში ვარაუდის დონეზე შეიძლება ვივარაუდოთ. თვლით, რომ ეს სხვა მერაბიშვილის ჩასაძირადაა? სხვათა შორის, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მერაბიშვილი სააკაშვილის ტერაქტს გეგმავდა, რაც სააკაშვილს ძალიან მინისტრების გადაყენებისთვის კარგ ბლანშს მისცემდა... — 19 აპრილამდე ნაციონალური დამთავრდებიან.

ერთადერთი, რასაც ვეფრთხობი, იყო მეგის ქარდავის მიერ კადრების გამოქვეყნება, რასაც თორნიშვილად, შეიძლება გამოიყენოს ცვლილებები მინისტრთა კაბინეტში, იქ მალაჩინოსნებზე იყო საუბარი. შემდეგ უკვე, სააკაშვილი პრობლემებს შექმნიდა ახალი მინისტრების დამტკიცებაზე. ამ კუთხით შეიძლება ბოლო გამოიყენებოდა, თუმცა, ახლა აზრი ამასაც არ აქვს. თუ დათა ახალაია აქ ჩამოსვლას გეგმავს, მას გარკვეული გარანტიები, ალბათ, აქვს, მას და არა მის ძმას, მერაბიშვილის წინააღმდეგ გალაშქრების სანაცვლოდ. მეორე მხრივ, ნაციონალურების თემა ამით საბოლოოდ დაიხურება და ეს როგორც ჩანს, ჩვენზე ადრე იცოდნენ ამერიკელებმა, რადგან ფაქტობრივად, მუდის ახალი პოლიტიკური ძალისა და ახალი პოლიტიკური ფიგურების მოძიების პროცესი, რომელიც პროდასავლური მიმართულებით იქნება. რეალურად, ოპოზიციური ფრონტი თავის უფლებებს, რაც ძალიან კარგია, რადგან სხვა პარტიებს მიეცემა შედეგობაზე ამოსვლის და აზრის გამოთქმის საშუალება. ანუ, „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებას რომ ახსენებდა ამ წიშს, ასე აღარ იქნება და სხვა პარტიებს ფრთხილად გაშლის საშუალება მიეცემა. ლალი ზირაძე

ნაცების პარტია რომ თაღლითი, უვიცი მოძალადეებით არის სავსე, ამას საცხრამეტაპრილო მონოდებების ბოლო „პუნქტიც“ მონობს – ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

ალბათ, ეს „ლოზუნგი“, სხვა დემაგოგიურ „მარგალიტებთან“ ერთად ნაცების გენერალურ მდივანს, ქართული წერა-კითხვის მცირემცოდნეს, მაგრამ, ამ ბოლო ხანს ენაამოდგმულ ციციერონს ვანო მერაბიშვილს ეკუთვნის.

ამ მონოდებაში „გენსეკი“ იმ ხალხის „გამარჯვებას“ გულისხმობს, ვინც 19 აპრილს მოუშორებელი ეროვნული ჭირის – ნაცმობრობის სა-

რეანიმაციო მიტინგზე მისვლას აპირებს. „ტვინების გამოტყვევება“ გრძელდება. **ორ თვეზე მეტია, ნაციონალების ტელევიზორებიდან „ქართული ოცნების“, ახალი ხელისუფლების და, მასთანადამე, მილიონნახევარი ქართველი ამომრჩევლის სიძულვილით გაჟღერებული ცრუ, ყალბი მონოდებები ისმის.**

გამაოგნებელი, დამთრგუნველი, უკანონო ორხელისუფლებიანობა გრძელდება. ეს ორხელისუფლებიანობა მინიმუმ 100 წლით უკან აბრუნებს ჩვენს სახელმწიფოებრიობას.

ის, რაც ოცდამეერთე საუკუნეში არსად არ მომხდარა, ხდება საწყალ, გაუბედურებულ, გადატაკებულ საქართველოში.

ხდება ნაცების ხელდასხმით. ხალხმა არჩევნები მოიგო. როგორც წესი, ნაგებული განზე დგება, მინიმუმ ოთხი წელიწადი ჩუმდება და მომავალ არჩევნებს ელოდება.

**ნაგებული ამას საკუთარი ხალხის, ანუ ამომრჩევლის უმრავლესობის რიგით და პატივისცემით აკეთებს.**

ერთმნიშვნელოვნად გადაგვარებული და პოლიტიკური სიბინძურის ჭაობში ჩაფლული ნაციონალური მოძრაობა კი ქართველ ხალხზე ძალადობის, თვალეში ნაცრის შეყრის არნახულ მეთოდებს იყენებს, გაღმა გვედავება, ახალ ხელისუფლებას მუშაობის საშუალებას არ აძლევს და ქვეყანას განვითარების ყოველგვარ პერსპექტივას უსპობს.

მიშავიზიებმა თავი გადაგვჭამეს: **– ეკონომიკური ვარდნა გრძელდებაო; – კრიმინალმა 13 პროცენტით მოიმატაო; – ბიძინა ივანიშვილის არც ერთი დანაბირები არ სრულდებაო!**

არადა, ყველაფერი პირიქითაა. ეს იციან ნაციონალებმა, მაგრამ ხალხი ხომ უნდა მოატყუონ: ახალი ხელისუფლება



# 19 აპრილს „ქართულ ოცნებას“ გაუმარჯოს!

## ანუ გოლო ხანს ენა-ამოღებული „სიცირონის“ ოინები!



არაფრის მაქნისია, ისევე ჩვენ გიშველითო.

აი, ასე ესმით ნაცებს დემოკრატია და კოპაბიტაცია!

**მართლაცდა რა უზნეობაა, რა სიმდაბლეა. საქართველოს დამოქვეყნების, ქართული მიწის და ბუნებრივი რესურსების გამ-**

**ყიდვები, მკვლელობები, პატიმართა მწამებლების ჩამრეცხვები, მასმედიის დამტოვრებლები, ყოველგვარი სისაძაგლის ჩამდენები (რუმორ ბედაშვილი ამას?) ჩვენი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი უზენოესი თავი და თავი ისევე მიხედავს სააკაშვილია.**

ხომ გახსოვთ, პრეზიდენტყოფილმა (დემოტო, მალე მოიყვანე ოქტომბერი!), რამდენიმე წლის წინათ უტიფრად რომ განაცხადა: **სხვებმა რა იციან, მე კი ნებისმიერ ხელისუფლებას 3-4 თვეში დავამსობო!**

– როგორ და რანაირადო? – აჩურჩულდნენ ზოგიერთები.

– ეს საიდუმლოა, მხოლოდ მე ვიციო, – თავისებურად ჩაიკისკისა მიშამ და მარჯვენა საჩვენებელი თითით და პიჯაკის სახელოთი მეთასხედ მოინმინდა ცხვირი...

დღეს უკვე ნაპრეზიდენტალის, 9 წლის განმავლობაში ქართველი ხალხის ნერ-

ვების მნიშვნელობის, ჯერაც მოუშორებელი სირცხვილის, პროვინციული „ფიურერის“ საიდუმლო 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებიდან მეორე დღესვე გამჟღავნდა.

მე ვაღიარებ და... მარცხებას და... ოპოზიციაში გადავდივარ! – სულმოუთქმელად თქვა სააკაშვილმა.

**და მიშამ დაინახო...**

დაინახო აგვისტოს ომში რუსებისთვის წართმეული „დაუნგული“ ტყვიამფრქვევებიდან ახალი

თუ ძველი ტყუილების ფრქვევა, კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის და მისი მთელი გუნ-

დის (შესაბამისად, მინიმუმ მილიონნახევარი ქართველი ამომრჩევლის) ლანძღვა-გინება, დამცირება, საზღვარგარეთელი ყვარყვარე „პოლიტიკოსების“ მოსყიდვა, საკუთარი მიუტყვევებელი დანაშაულობის გამართლება, აღმაღალმა გამომწვევად სირბილი და იქ „საპრეზიდენტო დელეგაციასთან“ ერთად ქართველი ხალხისთვის წართმეული მილიონობით საბიუჯეტო თანხების ხარჯვა...

მარტოოდენ თურქეთსა და პოლონეთში მხარბჭმობილი (თურქული მედიცინის დონით გადარეული) მიშას ახალთახალი საჯარო გამოსვლები რად ღირს:

– აგვისტოს ომის დაწყების სამართლებრივ პრობლემებზე არაგვისთან არ ვითანამშრომლებ, რადგან ეს სცენარი რუსეთიდან მოდის და ქართულ სახელმწიფოებრიობას ანადგურებს!

ამ „უტყუარ შეფასებას“, „ქართული ოცნების“ და პარლამენტის ახალი უმრავლესობის ლანძღვა-გინება უკვე მერამდენედ მოაყოლა...

**რა დონის სულიერი და პოლიტიკური ნებარი უნდა იყო, რომ საკუთარი ქვეყანა და ხალხი – რამდენიმე თვის წინათ არჩეული ხელისუფლების სახელით, უცხოეთიდან ქორიკანა დეაცივით ისტერიკულად ლანძღო და ამით საკუთარი პატივმოყვარეობა დაიკმაყოფილო!**

როდის ეშველება საქართველოს? როდის დაწყდება ხალხი? დემოტო, მალე მოიყვანე ოქტომბერი, მაგრამ... ოქტომბრამდე აბსოლუტურად გადაგვარებული, სკამებს ჩაბლაუჭებული ნაციონალები და მათი მოუშორებელი ოლიდერი რას მოიოქმედებენ, არავინ იცის.

ცხადზე უცხადესია, რომ ასეულ ათასობით ქართველს ერთხელ მაინც ისევ მოუწევს ქუჩაში გამოსვლა. კარგია, რომ ჩვენი ხალხი და „ქართული ოცნება“ ჯერჯერობით ოლიმპიურ სიმშვიდეს ინარჩუნებენ. ამ სიმშვიდეშიც იკითხება საბოლოო გამარჯვების იმედი...

**საპრეტაქ მოუხლინა.**

**P. S. რატომ შეეხება მონოდებას – „ვინც მოვიდა, გაუმარჯოს“ მხოლოდ ნაცების მრუდე აზროვნების შედეგია, რადგანაც ჩვენმა ხალხმა 1 ოქტომბერს ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოიყვანა. ე.ი. 19 აპრილსაც „ქართულ ოცნებას“ გაუმარჯოს!**

### სახელისუფლებო კარუსელი

**აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის სავარძლისთვის ჯერჯერობით ნ კანდიდატი იბრძვის, მაგრამ როდის ეყოლება აფხაზეთის მთავრობას პირველი პირი, ეს მისეილ სააკაშვილზე დაბოკიდებული. პრეზიდენტი კი გადანწყვტილების მიღებას არ ჩქარობს. როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში for.ge-ს განუცხადეს, წარმოდგენილი კანდიდატებიდან სააკაშვილი არც ერთ კანდიდატს მხარს არ დაუჭერს.**

აფხაზეთის მთავრობის მოვალეობის შემსრულებელს ვახტანგ ყოლბაიას ამ თანამდებობაზე, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი რესპუბლიკელი პაატა ზაქარეიშვილი ლობივებს. ზაქარეიშვილმა სესიის გამართვამდე ერთი დღით ადრე ლიად გააკეთა განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე ის ვახტანგ ყოლბაიას ისურვებდა.

ზაქარეიშვილის ეს განცხადება დევნილთა პროტესტის მიზეზი გახდა. დევნილები პერმიერ-მინისტრს წერილობით მიმართავენ, რომ მან, როგორც მთავრობის მეთაურმა, უზრუნველყოს, რომ რეინტეგრაციის მინისტრი არ ჩაერიოს მთავრობის პირველი პირის არჩევაში.

თავად ყოლბაია კი ამბობს, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს ის პიროვნება, რომელიც ამ გადაწყვეტილების მიმღებია.

საინცივად ვგუფმა წარადგინა აბესალომ მიქელაძის, გიორგი შერვაშიძისა და დალილა ხორავას კანდიდატურა. მთავრობის თავმჯდომარეობის სურვილი აქვს „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრს დავით ფაცაციას, რომელიც ლიად ადანაშაულებს

### აფხაზეთის მთავრობაში კვლავ გაუკაცობაა

აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს კონსტიტუციის დარღვევაში.

მთავრობის თავმჯდომარეობის კიდევ ერთი კანდიდატი, პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის ექსპერტი გიორგი შერვაშიძე ამბობს, რომ დღეს ყველა, თითქმის, იდენტურ პრიორიტეტებს ასახელებს, თუმცა, მათ განსახორციელებლად კონკრეტული მექანიზმების შემუშავება და ამოქმედება აუცილებელია.

**„გაგაკეთებ იმას, რაც მომგებიანია ქართველისთვის და აფხაზისთვის. მაქვს ამის წინაპირობები. რაც გასაკეთებელია, უნდა გაკეთდეს და ამას ყველა ძალიან მალე დაინახავს.“** – განაცხადა გიორგი შერვაშიძემ.

ალსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული კანდიდატებიდან დევნილთა განსაკუთრებულ კრიტიკას ორი კანდიდატურა: დალილა ხორავა და ვახტანგ ყოლბაია იწვევს. დევნილები მათ წარსულს უხსენებენ და აცხადებენ, რომ წლების განმავლობაში დევნილთა პრობლემების მოსაგვარებლად მათ არაფერი გაუკეთებიათ. ორივეს ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში საკმაოდ მაღალი თანამდებობები ეკავათ, ვახტანგ ყოლბაია შევარდნაძისა და სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, ნინო ბურჯანაძის მოადგილე იყო, დალილა ხორავა კი – აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრი.

თავად დალილა ხორავა for.ge-სთან საუბრისას ამბობს, რომ მისი კანდიდატურა უმაღლეს საბჭოში საინცივად ვგუფმა წარადგინა. როგორც ცნობილია, ხორავას მეუღლე აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და პრეზიდენტის წევრია. ხორავა ამბობს, რომ არჩევის შემთხვევაში, მისი მეუღლე უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტიდან გადადგება.

**„აფხაზეთიდან დევნილთა საინცივად ვგუფი“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად ვახტანგ ყოლბაიას დანიშვნის კანონიერების შესწავლის მიზნით, იურისტთა ჯგუფის გამოყოფის თხოვნით მიმართავს.**

აფხაზეთის მთავრობის მოვალეობის შემსრულებლად ყოლბაიას დანიშვნაზე უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეც საუბრობს. გია გვაზავას განცხადებით, მას შემდეგ, რაც გიორგი ბარამიამ თანამდებობა დატოვა, ავტომატურად უნდა დანიშნულიყო მოვალეობის შემსრულებელი.

**კონსტიტუციურად ვახტანგ ყოლბაია ვერ იქნება თავმჯდომარე, რადგანაც ჯერ საქართველოს პრეზიდენტს ხელი არ მოუწერია გიორგი ბარამიას გათავისუფლებაზე. ჩვენ ველოდებით პრეზიდენტის პასუხს. ჩვენ კიდევ ერთხელ შევასწავნებთ მას, რომ მიიღოს გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი არ მიიღებს გადაწყვეტილებას, მერე უმაღლესი საბჭო თავად მიიღებს გადაწყვეტილებას. მივიღებთ კონსტიტუციურ ცვლილებებს და უმაღლესი საბჭო დაიბრუნებს იმ ფუნქციებს, რაც ჰქონდა.“** – ამბობს გია გვაზავა.

**ანი გოდერაძის მიხედვით**

# საქსს მოჭიდებულნი...

ბოლო დროს ბევრს საუბრობენ იმაზე, იგეგმება თუ არა პროვოკაციები 19 აპრილის მიტინგზე? საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ მთავრების მსგავსად, ნაციონალურ დესტაბილიზაციას აწყობს, რადგან სათქმელად ექნება, რომ ახალ ხელისუფლებას მიტინგებზე პროვოკაციების აღცილობის უნარიც კი არ შესწევს.

როგორც ჩანს, ნაციონალისტების ეს გათვლა ახალი ხელისუფლებისთვისაც ცნობილია. ირაკლი ლარიბაშვილი პროვოკაციებს არ გამოირიცხავს და საზოგადოებას მოუწოდებს, 19 აპრილის პროვოკაციას არ წამოეგონ. ამასთან, 19 აპრილის აქციის სავარაუდო სცენარზეც საუბრობს. კერძოდ, აქციაზე იგეგმება რამდენიმე პოლიციელის მიყვანა, რომლებიც დემონსტრაციულად გაიხდიან ფორმას და, ამავდროულად, პოლიციელის საბუთს დახვევენ. ეს უკანასკნელი ვანო მერაბიშვილის ნათესავები არიან და სამინისტროში დღესაც მუშაობენ.

უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, თბილისის მერიასა და მანიფესტაციის ორგანიზატორებს შს სამინისტრომ საკოორდინაციო ჯგუფის შექმნის ინიციატივით უკვე მიმართა.

საკოორდინაციო ჯგუფის უმთავრესი ამოცანა იქნება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით ინფორმაციის ურთიერთგაცვლა და კანონით გათვალისწინებული მოქმედებების კოორდინირებული განხორციელება, მათ შორის, მიზანმიმართული პროვოკაციებისგან თავის დაზღვევის მიზნით რისკ-ფაქტორების განსაზღვრა და ეფექტიანი პრევენციული მექანიზმების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს მანიფესტანტების, მათ შორის, იმ პირების უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვას, რომელიც შეიძლება, საჭიროებდეს სახელმწიფოს მხრიდან დაცვას.

**არის თუ არა ნაციონალისტების ინტერესში 19 აპრილის აქციაზე ვითარების დაძაბვა? ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია ცაგარეიშვილი For.ge-სთან საუბარში აცხადებს: „თუ გავითვალისწინებთ, როგორ მტყვევლებს ჩვენს ქვეყნის პრეზიდენტი, რამდენად დესტრუქციულად მოქმედებს ქვეყნის შიგნით თუ ფარგლებს გარეთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 19 აპრილის მიტინგის მოთავეთა გეგმებში მართლაც არის გარკვეული დესტაბილიზაციის შეტანის სურვილი.“**

გია ცაგარეიშვილს ამ აზრს უმყარებს ისიც, თუ როგორ განვითარდა მთავრების აქცია, როცა თბილისის მერიამ და პროვოკატორებმა მოგვევლინა.

ბერვლის აქცია, როცა თბილისის მერიამ გამომწვევად იქცეოდა და პროვოკატორად მოგვევლინა.

**„შესაბამისად, მათ სურთ, გარკვეული დესტაბილიზაცია გამოიწვიონ ქვეყანაში და ამის მთავარი ფაქტორი იყოს 19 აპრილის შეკრება, მაგრამ ერთია, მათ რა სურთ და მეორეა, რისი საშუალება აქვთ და რამდენად მიიღებენ ადეკვატურ რეაქციას საზოგადოებისგან, რომელმაც „ნაციონალისტებს“ პასუხი გასცა 1-ელ ოქტომბერს“, - აცხადებს გია ცაგარეიშვილი.**

## აქსია დესტაბილიზაციის თანხლებით?



რაც შეეხება პოლიციელთა მხრიდან საბუთების დახვევას და ფორმის გახდას, გია ცაგარეიშვილი კითხვობს, ფორმის გახდა რას ნიშნავს? უნდა გაშიშვლდნენ და დედიშობილა ირბინონ მიტინგზე თუ საცურაო კოსტიუმებით აპირებენ მიტინგზე გამოსვლას? კი ბატონო, გაშიშვლდნენ, ეს იმდენად არასერიოზულია, არ ვიცი, ვინ ვის უმტკიცებს ერთგულებას და რა ფორმით? თუ მასკარადებს მოაწყობენ, ან ბატუტზე იხტუნავენ, ეს მათი საქმეა, როგორც უნდათ, ისე ჩაატარონ მიტინგი, ეს მათი უფლებაა.

თუმცა, გია ცაგარეიშვილი აცხადებს, რომ მისთვის გაუგებარია, რისთვის იკრიბებიან ეს ადამიანები და რას აპროტესტებენ, მით უფრო, რომ 23-ში პრემიერ-მინისტრი მიბრძანდება ევროპარლამენტში და სიტყვით გამოდის.

**„ამდენად, იმ ქვეყნის მთავრობის ხელმძღვანელი, რომელიც თურმე მიეჭიბება თავის ქვეყანას არარსებული ვერა-**

**ზიული კავშირებისკენ, ევროპარლამენტში სიტყვით გამოდის? სად არის აქ ლოგიკა?“ - კითხვობს პარლამენტარი.**

ცაგარეიშვილის თქმით, გიგი უგულავას კარგად აქვს წარმოდგენილი, როგორ უნდა გაიმართოს ეს აქცია, რადგან იგი ამ აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორია და ამ აქციაზე ნებართვის გამცემია. ამიტომ, რაც მოხდება ამ აქციაზე, აბსოლუტურად მათი პასუხისმგებლობის საკითხია. მით უფრო, რომ საზოგადოებას კარგად ახსოვს 26 მაისს მათ მიერ უზრუნველყოფილი

„მშვიდობიანობა“, როცა აქციის მონაწილეებს პირდაპირ მიუქსიეს კბილებამდე შეიარაღებული სპეცნაზი.

გია ცაგარეიშვილის აზრით, მთელი უბედურება ისაა, რომ 26 მაისის აქციის დარბევის მთავარი ინიციატორები დღეს უკვე არიან 19 აპრილის აქციის მთავარი შემოქმედები, ანუ ის ადამიანები, რომლებიც ამბობდნენ, რომ რუსთაველის გამზირი არის საქართველოს ქუჩა. თუმცა, დღეს უკვე, ამ საქმეზე პროსპექტზე მართავენ მიტინგს. ამიტომ, საზოგადოებას თმენის ვალდებულება აქვს.

სამხედრო ექსპერტ გიორგი თავდგირიძეს მიაჩნია, რომ 19 აპრილის აქციაზე მიმსვლელი ადამიანების სავარაუდო რაოდენობა არ შეიცავს რაიმე ხიფათს, რადგან ჩვენ უფრო მრავალრიცხოვანი და ბევრად უფრო გაღიზიანებული ადამიანების თავშეყრა გვიწახვავს, რომელთაც უკმაყოფილების მეტი საფუძველი ჰქონდათ. ამის მიუხე-

დავად, საქართველოში ყველა ეს თავშეყრა ყოველთვის კანონიერების ჩარჩოებში ჯდება და არ გამოირჩეოდა აგრესიულობით.

ამდენად, 19 აპრილის თავშეყრა არც თავისი მოცულობით და არც წარსულის გამოცდილებით, არ შეიძლება იყოს რაიმე დესტაბილიზაციის შემცველი. მით უმეტეს, არც „ნაციონალური მოძრაობა“ არ აწარმოებს საინფორმაციო და პიარაქტიურობას, რომ რაღაც დასკვნა გავაკეთოთ, რომ გათვლილი იყოს დესტაბილიზაციაზე.

ამის მიუხედავად, გიორგი თავდგირიძე For.ge-სთან საუბარში ადასტურებს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ პიარსტრატეგიის შემადგენელი ნაწილია დაანახოს საზოგადოებას, განსაკუთრებით დასავლეთს, რომ ახალი ხელისუფლება ვერ ახერხებს თავშეყრის დემოკრატიული ღონისძიების უზრუნველყოფას და ვერ ფლობს სიტუაციას. ამას ემატება ისიც, რომ მმართველი ძალის გარდა, არსებობს ადამიანთა ჯგუფი, რომელიც უკმაყოფილოა ყოფილი ხელისუფლებით და აქედან გამომდინარე, ინციდენტები მოსალოდნელია იმის მიუხედავად, ეს მმართველ ძალას სურს თუ არა.

ამიტომ ექსპერტი მიიჩნევს, რომ უსაფრთხოების ღონისძიება აუცილებლად მისაღებია. იგი ფიქრობს, რომ ხელისუფლება ამას თვითდინებაზე არ მიუშვებს და თუ ამ დემონსტრაციის ორგანიზატორთა კეთილი ნება იქნება, ეს გაცილებით უფრო ორგანიზებულ ხასიათს მიიღებს.

**„19 აპრილს რაიმე ინციდენტი თუ მოხდება, ეს აქციის ორგანიზატორების კისერზე იქნება. რაც შეეხება სამხედროებს ან პოლიციელებს, ეს ადამიანები კანონს უნდა იცავდნენ. ამიტომ დოკუმენტების საჯაროდ დახვევის, ან ფორმის გახდას სახალხო რიტუალური ნაბიჯები მიუღებელია. მით უფრო, რომ ახლა საინფორმაციო საუკუნეა და ნებისმიერმა ადამიანმა შეიძლება გააპროტესტოს არსებული ვითარება. არც საბუთების დახვევა იქნება კანონდარღვევა, მაგრამ თუ მათ სურთ საზოგადოებას გარკვეულ პრობლემებზე ინფორმირებული იყოს, შეუძლიათ ეს სხვა მეთოდებით გამოხატონ და არ ჩაატარონ შუა საუკუნეობრივი რიტუალები, რომლებიც ემოციურად იქნება გათვლილი, ვიდრე ამა თუ იმ პოლიციელის მკაცრად ჩამოყალიბებულ ხედვაზე“, - აცხადებს გიორგი თავდგირიძე.**

მანანა ნოზაძე

### © პოლიტიკური აჯაფხანდალი

**(მეორე ბეჭდვით)** იგი ხაზს უსვამს იმას, რომ პრეზიდენტის დაცვაზე 50 მლნ ლარი იხარჯება და აინტერესებს, სად მიდის ეს ფული. მამუკა არეშიძეს კითხვები აქვს თურქეთში მომხდარ პრეზიდენტის ავარიასთან დაკავშირებითაც. ექსპერტი აცხადებს, რომ პრეზიდენტის აუცილებლად უნდა ჰყოლოდა დაცვა, თუმცა, აღმოჩნდა, რომ ავარიის დროს, იგი დაცვის გარეშე იყო.

**„ესეც ხომ თბილისი არ არის, რომ ვინმე თქვას, ხელისუფლებამ მოუხსნია დაცვა. რადგან ამ მომენტში პრეზიდენტს დაცვა არ ჰქავდა, აქ რამდენიმე ვერსიის განხილვა შეიძლება. ან შეგნებულად გაკეთდა, რომ დაცვა არ ყოფილიყო, ან ის ამბავი, რაც თურქეთში მოხდა, ვილაცის მიერ არის ჩაფიქრებული, რომ დაცვა მოუხსნეს. ამის პარალელურად ჩნდება კითხვა - სად მიდის ის ფული, რომელიც პრეზიდენტის დაცვაზე არის გამოყოფილი? ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ ფული მიდის სხვა საქმეზე. არ არის გამორიცხული, რომ ეს თანხა ისეთი ღონისძიებების ორგანიზებაზე იხარჯება, როგორც არის 19 აპრილის აქცია“, - აღნიშნავს მამუკა არეშიძე.**

„კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის“ თავმჯდომარე ზაალ კასრელიშვილი აცხადებს,

## პრეზიდენტი თვითგანადგურების რეჟიმზე გადავიდა

რომ ვერაფერს იტყვის იმაზე, თუ რას უპირებს მერაბიშვილი სააკაშვილს, მაგრამ აქვე დასძენს, რომ სააკაშვილს „ნაციონალისტების“ ლიდერები ემიგრებიან, რადგან მათ სურთ სააკაშვილს შეამინდონ ხელები და თვითონ სუფთა ფურცლიდან დაიწყონ ყველაფერი. სააკაშვილი კი მათ თავის აქტივად თვლის და ცდილობს, შეინარჩუნოს, რადგან იგი დასავლეთისთვის საინტერესო იქნება მანამ, სანამ ის არის პოლიტიკური გაერთიანების ხელმძღვანელი და ქვეყნის ერთ-ერთი პირველი პირი. ზაალ კასრელიშვილის თქმით, შიდა დაპირისპირება „ნაციონალურ მოძრაობაში“ კიდევ უფრო გამწვავდება.

**„აქვე გეტყვით, რომ ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, მზადდება თავდასხმა პრეზიდენტზე და ამასთან დაკავშირებით სამი მიმართულება არსებობს. ერთ-ერთი საფრთხე სააკაშვილს „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებისგან, მერაბიშვილისა და უგულავასგან ელოდება. მეორე საფრთხე ემუქრება ყოფილი პატრონებისგან, რომლებმაც ის გამოიყენეს, როგორც ავი ძალე და არ აქვთ გარანტიები, რომ ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ, შევარდნაძის მსგავსად ჩუმად დაჯდება და მემუარების წერას დაიწყებს. მესამე საფრთხე კი არიან ის ადამიანები, რომლებსაც სააკაშვილი წლების განმავლობაში პრობლემებს უქმნიდა როგორც რუსეთში, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში“, - აცხადებს ზაალ კასრელიშვილი.**

For.ge შეეცადა თავად ვანო მერაბიშვილს დაკავშირებოდა, თუმცა, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა... ჩვენ „ნაციონალური მოძრაობის“ რამდენიმე ცნობილ წარმომადგენელს გავესაუბრეთ. როგორც მოსალოდნელი იყო, ისინი კატეგორიულად უარყოფენ გავრცელებულ ინფორმაციას და ამბობენ, რომ „მსგავს სისულელებზე“ კომენტარის გაკეთება კი არ მიაჩნიათ მიზანშეწონილად.

ვანო მერაბიშვილის მიერ სააკაშვილის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული მერაბიშვილის კადრების განმენდასთან დაკავშირებით ჩვენს მიერ დასმულ კითხვებზე, საპარლამენტო უმცირესობის წევრი გიორგი ღვინიაშვილი აცხადებს, რომ მას კითხვების სიურპრიზი მოუწუყვეთ და ასეთ თემებზე კომენტარის გაკეთება არ სურს.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი ნუგზარ ნიკლაური „სი-გიჟეს და ბოღვას“ უწოდებს ამ ინფორმაციას.

„ნაციონალური მოძრაობის“ კიდევ ერთი დეპუტატი შოთა მალაშხია ჩვენს მიერ დასმული კითხვების შემდეგ ხუმრობის ხასიათზე დადა და განაცხადა, რომ ჟურნალი „ნიანგი“ აღარ გამოდის და უცნაურია, სად ვრცელდება ასეთი ინფორმაციები.

ხოლო ჩვენს კითხვაზე, რატომ აღარ დადის სააკაშვილი მისი ჰიბრიდული ავტომობილით, მალაშხია გვპასუხობს, რომ როდესაც პრეზიდენტს შეხვდება, გადასცემს, რომ მედიის მოთხოვნაა, მან ისევე ამ ავტომობილით იაროს.

**რუსუდან უზიკიშვილი**

### © ინფორმაცია

**აპტიმრებმა შიშვილოზა ღაიწყას გლდანის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სამუდამო პატიმრობამისჯილი 70-მდე მსჯავრდებული შიმშილობს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იუსტიციის დახმარების საკითხთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა ირაკლი კორძაიამ განუცხადა, მსჯავრდებულები საკუთარი საქმეების გადახედვას მოითხოვენ.**

**— მათი პრეტენზიები სასჯელაღსრულების სისტემას არ უკავშირდება. პატიმრებს სურთ, რომ მათი საქმეების გადახედვა მოხდეს, რაც საგამომიხილველ უწყების პრეროგატივაა. ჩვენ უზრუნველყოფთ მოშიშვილების ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას, თუმცა, საგამომიხილველ სტრუქტურა ჩვენი საქმე არაა და პროკურატურა ისე მოიქცევა, როგორც საჭიროდ ჩათვლის, - განაცხადა კორძაიამ.**

**მისივე განმარტებით, მოშიშვილები ასევე პატიმრების საკითხის გადახედვასაც მოითხოვენ, რაზეც სასჯელაღსრულების სამინისტრო მუშაობს.**

ინტერპრესი

მე რომ მინისტრი ვიყო (არაფის ეცინება, მომწონს), ამ და ასეთ ყოფაში მყოფი ხალხის შემყურე, ნამდვილად არ ვიკადრებდი და არ ავიღებდი ხელფასს - შვიდი ათას ლარს, მაშინ, როდესაც ისედაც უამრავი შეღავათით ვისარგებლებდი ამ გაღარიბებული ქვეყნის საბიუჯეტო ყულაბისადან. შენ? - ვეკითხები ახალგაზრდობის სახლის ერთ-ერთ პედაგოგს, ქალბატონ მარგოს, რომელიც ერთ მშვენიერ დილას, სრულიად შემთხვევით ვაკის პარკში დავინახე რეზინის სამუშაო ხელთათმანებში მარგოს, ნაგავს აგროვებდა და იქვე ხეზე, მის მიერვე ჩამოკიდებულ დიდ ტომარში ათავსებდა. ორივენი გაკვირვებულნი დავრჩით, მე მისი საქმიანობით, ის კი ჩემი შეკითხვით.

ქალბატონი თურმე ხშირად ეწევა ამ საქმიანობას, იმიტომ კი არა, რომ ვინმემ დაავალა, არა! მხოლოდ თავისი ნებით, ამ პარკით, მისი მწვანე გარემოთი და სუფთა ჰაერით სარგებლობის სანაცვლოდ! ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემო ძვირფასო მკითხველებო, რასაც ჩაუწერავდა ეს პედაგოგი თავის აღსაზრდელებს და ისიც მითხარით, თუ ამ დაბალხელფასიან პედაგოგს შეუძლია დილით ადრე გამოვიდეს და სრულიად უსასყიდლოდ ასეთი არც იოლი და საამო საქმე აკეთოს, მაშინ რატომ არ შეუძლია ჩინოვნიკს მისი ქვეყნის, მისი ხალხის სოციალური და მატერიალური მდგომარეობის შესაბამის ხელფასს დაყვანა? ერთიც მიპასუხეთ, ძვირფასო მკითხველებო, რომელი აკეთებს დიდ მამულიშვილურ საქმეს, ქალბატონი მარგო თუ ჩინოვნიკთაგან ნებისმიერი პერსონა?

გასული წლის ოქტომბერში ხალხის მიერ დიდი ენთუზიაზმით და იმედებით არჩეული მთავრობა ისეთი მკვირცხლი და მიმდგომ-მომდგომი არ აღმოჩნდა, როგორც გვეგონა, რაღაც კუს ნაბიჯებით დადის, მაგრამ, რამდენად წინ გადადგმული და ხალხისთვის სასარგებლოა ეს ნაბიჯები ამას, ჯერჯერობით, ნამდვილად ვერ ვიტყვი. ასეა და რა ექნა! ჩემსა და ჩემი ახლობლების ოჯახებში არ შესულა არავითარი სიახლე, უმუშევარი ვინც გვეყავდა, კვლავ უმუშევარია, დაბალხელფასიანებს კვლავ იგივე (ზოგს ნაკლებიც!) ხელფასები დარჩათ. გადასახადებსაც არცთუ დიდად განსხვავებული ტარიფებით ვისდით, ხელფასიდან უსაშველოდ დიდი საშემოსავლოს გადარიცხვა მთავრობის ბიუჯეტში ისევე ისეთივეა, ბაზარს ისევე, ძველებურად ცეცხლი უკიდია, ბინათმშენებლობაში ჩადებული თანხების მეპატრონეები, თუ სხვა სახით უსამართლოდ დაზარალებულები, კვლავ გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებიან. ყველაფერ ამასთან ერთად, საჭირობოროტო საკითხებით შეწუხებული ადამიანებისთვის ჩარაზულია ჩინოვნიკების და ამ საკითხებზე პასუხისმგებელი ადამიანების, მთავრობის წარმომადგენლების, მინისტრების და მათი მოადგილეების კარები, სულერთია, თუნდაც ეს საკითხი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებს ეხებოდეს, ისინი (ჩინოვნიკები) ჩაკეტილები არიან, ხალხის მოსმენის სურვილი თუ კულტურა მათ ჯერჯერობით არ გამოუმჟღავნებიათ! ახალგაზრდები უსახსრობის გამო კვლავ ვერ ქორწინდებიან, შიმშილობს ხალხი და შიმშილით ბავშვებიც კი იხოცებიან, მათხოვრების რიგი კვლავ იზრდება. გადასასვლელ გვირაბებში კვლავ გამოჩნდნენ მომღერალი, მათხოვარი ქალები. კაცები ხომ გვეყავდნენ და სულ ახლახან, ვაკის ერთ-ერთ გვირაბში ხელგამოწვდილი მომღერალი ქალი რომ ვნახე, გული მომიკვდა... საინფორმაციო წყაროებში მომრავლდა მონოდედა მოქალაქეებისადმი, მძიმედ დაავადებულ მობარდთა სამკურნალო ხარჯების შესაგროვებლად...

დღეისათვის ასეთია სინამდვილე ჩვენს პრაქტიკულ ცხოვრებაში და უარესიც... ის, რაც დაგვიტოვა ძველმა ხელისუფლებამ, კვლავ ჰყვავის, ყველაფერს ვერ აღწერ საზოგადოებრივ წყაროებში. ყოველივე ამის აღწერა და ცოდნა მხოლოდ ჟურნალისტ-კორესპონდენტების ვალი როდია. თუმცა, ჩვენი ჟურნალისტებისა რა გითხრათ, ისინი მეტიმეტად პროვინციულად მუშაობენ. ისეთ საკითხზე გამართვან სანახაობებს ტელევიზორებში, რაზეც ინფორმაციის მიწოდებაც კი საკმარისია. ვფიქრობ, რომ ცალკე სასაუბროა ჟურნალისტების მუშაობის თემა.

ქვეყნის სოციალური მდგომარეობის შესახებ ცნობები, მთავრობას რომ ყოველდღიურად უნდა მიეწოდებოდა, არახა-

ლია, ამისათვის ქვეყნებში (ყველგან და, ალბათ, ჩვენთანაც) შესაბამისი სტრუქტურები მუშაობენ. მაგრამ, ვისთან როგორ მუშაობენ, რისთვის და რაზე არიან ორიენტირებული, საკითხავი სწორედ ეს არის! მუშაობა შედეგისთვის არის საჭირო და არა მხოლოდ ჯამაგირების მისაღებად.

აი, როგორც იქნა მივედი მთავრობა სათქმელად. იმ სათქმელად და იმ შეკითხვამდე, რომელიც მარტო მე კი არა, ძალიან ბევრს გაუჩნდა მას შემდეგ, რაც მინისტრების ხელფასებზე ინფორმაცია მიანოდეს ხალხს ისე თამამად და გაბედულად, თითქოს „სანყალ“ მინისტრებს, როგორც იქნა, გამოუსწორეს მდგომარეობა და ამით ხალხი გაახარეს. იმ „საცოდავი“ ექვსათასლარიანი ხელფასიდან შეიდათა-სიანზე (თუ უფრო მეტზე!) გადაიყვანეს ჩვენი „დაჩაგრული“ მინისტრები, წარმო-

პოტენციალს დებს თავის საქმეში, თავისი პროფესიაში, მეცნიერების ამა თუ იმ დარგში, მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ თავისი სულიერი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს, არამედ სწორედ იმიტომ, რომ ქვეყანა განვითარდეს, გაჯანსაღდეს, ეკონომიკურად გაძლიერდეს, აი ასეთი ხალხისთვის თავზარდამცემი იყო ეს ინფორმაცია, რადგანაც ის, რასაც ეს ჩვენი გუმინნი სკოლადამთავრებელი (ფიგურალურად რომ ვთქვათ!) მინისტრები თვეში იმდენ ხელფასს მიიღებენ თურმე, რამდენსაც ჩვენი, წიგნებში ტვირნასხმული მეცნიერ-პროფესორები ერთ წელიწადში! ამ დროს, ხომ უნდა ვიცოდეთ, რამდენად შეუდარებელია მათი შრომა ნებისმიერ ჩინოვნიკის შრომასთან! და არა მარტო შრომა! მთავარი ხომ შრომის ნაყოფია. მეცნიერება წიგნიერება, ცოდნა-განათლების

მერე როგორი მანქანა შეიძინოს, როგორი სახლი აიშენოს, როგორი აგარაკი... გამაყვებდა, გადადგულდება, გაუფრთხილებდა თავის გაჭირვებულ თანამემამულეს. ასეთები, ათასი განცხადებითაც რომ მიმართო, მაინც ვერ მოიცლიან შენთვის.

ერთი ახლობელი ახალგაზრდა მეუბნება: შემთხვევით მოვხვდი ისეთ საზოგადოებაში, სადაც ჩემი და ჩემი რაიონის მცხოვრებთა თავგადაკლული მცდელობით, დაუზოგავი შრომითა და ენერჯით დეპუტატად არჩეული და შემდგომში გამინისტრებული კაცი შემხვდა, მაგრამ თვალის ამარიდაო, არადა, სულ სხვა ნიშან-თვისებებით ვიცნობდით და მისი თანადგომის დიდი იმედი ჰქონდა ხალხს. გამინისტრების შემდეგ კი ტელეფონზეც არ გვიპასუხებს, ისე გაუჩინარდა, თითქოს არც არასოდეს არსებულაო. ასეა, თბილად გიღებს როგორც კი მიუახლოვდებიან და შიგ მოიკალათებენ, მერე ხალხი და ნაცნობ-მეგობრები არამც თუ ავიწყდებიან, არამედ მათდამი შიში უჩნდებათ და სათოფრებდაც არ იკარებენ. რომელი ხალხის მსახურებაზეა ლაპარაკი!

ქვეყანაში, სადაც ჩინოვნიკობა და პოლიტიკოსობა უფრო მეტ პრივილეგიას და ღირებულებას სძენს ადამიანს, რომელი მეცნიერება, რომელი ხელოვნება რომელი კულტურა აყვავდება და განვითარდება!

გადაცემა „ლია კარის დღეს“ ვუყურებ ზოგჯერ. გაკვირვებული ვარ, როგორ ცხოვრობენ პოლიტიკოსი შეჭიდებული თუ პოლიტიკაში ღრმად ჩაბმული ადამიანები. აბა, ერთი პროფესორების უმეტესი ნაწილი (ზოგიერთი განიხილავს რექტორისა თუ ვერცხვად, „მიმართულებების“ ხელმძღვანელის გამოკლებით) ცხოვრების წესი და „ავლადილება“ გვანახონ! არა, ჩვენს ქვეყანაში ნამდვილად არა აქვს შრომის ფასი, მგონი, არც არასდროს ჰქონია, იმედი მაინც არ დავგიკარგავს, უკეთესობას და ყველაფერ კარგს ველო, ველი არა მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების, არამედ სამოქალაქო მთავრობის ჩამოყალიბებას. ეს არის მთავარი. თავში თუ არ გვეყოლა სამოქალაქოდ მოაზრობა ადამიანები, ქვემოთ როგორ იქნებიან (და პირიქით)?

ამ ჯერზე ვამბობთ იმას, რაც არ მოგეწონს, რაც გვანახებს, რაც ძველი მთავრობის ქმედებებს გვაგონებს, იმ მთავრობისას, რომელიც თავს იმართლებდა: ჩინოვნიკმა ქრთამი რომ არ აიღოს, კანონი რომ არ დაარღვიოს, ამიტომ ვუნიშნავთ დიდ ხელფასს. ვილაცის აზრით, ეს სწორია, მე კი ნამდვილად მგონია, რომ უკვე ქრთამი და უნესრობა ის, რაც არ გეკუთვნის, რაც შენს შრომას არ შეეფერება, იმას რომ მიიღებ ხალხის ოფლისღვრით მოწაპოვარი ბიუჯეტებიდან. კანონის დარღვევას რაც შეეხება, ძველ მთავრობას რაში დასჭირდებოდა იმის დარღვევა, რასაც თავადვე ხან ვერავდა და ხან ჭრიდა საკუთარ ტანზე მოსარგებად.

დღევანდელი საქართველო ისეთ დღეშია, ხალხი შემთხვევით არ მოელის მთავრობისაგან არა მხოლოდ წესიერ, პატიოსან, ერთგულ და სამართლიან მსახურებას, არამედ მეტს, უფრო მეტს - გამირობას! და რაოდენ გულსაკლავია, როდესაც გამირობის სანაცვლოდ ხელში შემოსავალზე დახარბებული ადამიანები შეგვრჩენენ...

თქვენ შვიდი ათასი ლარი, ქალბატონ მარგოს რაღაც, ორასორმოცი... მე მრცხვენია, ბატონებო, თქვენი!

გულნარა სტურუა

# მე მრცხვენია, ბატონებო, თქვენ?!



გიდგენიათ! ადრე სამი ათასი ჰქონდათო, ამბობენ, ესეც კი გვებევრებოდა და საშრომლოადაც! გასაგებია რომ მთავრობა ხალხის სამსახურში დგას და სამუშაოს სირთულისა და პასუხისმგებლობის მიხედვით თითოეულ მათგანს, ანაზღაურებაც შესაფერი უნდა ჰქონდეს, მაგრამ, როცა ხალხს პენსიას უნიშნავენ და ორიენტირებული არიან საარსებო კალათის ღირებულებაზე, მაშინ რატომ ავიწყდებათ პენსიის ან საარსებო კალათის შეფარდება მინისტრის ხელფასთან? განა ცუდია რომ ათაჯერ, თუნდაც თხუთმეტჯერ მეტი ხელფასი დაენიშნოს მინისტრს, ან რომელიმე ჩინოვნიკს, ვიდრე პენსიონერის პენსიაა, ან ვიდრე საარსებო კალათის ღირებულებაა? თუ მინისტრი, ნიჭთან და ცოდნასთან ერთად, თავისი ქვეყნის სიყვარულით, ერთგულებით და, რაც მთავარია, პატიოსნების ნიშნით არის თანამდებობაზე დანიშნული (დეპუტატებსაც ასეთივე ნიშნით ირჩევს საზოგადოება!), განა ასეთი ხელფასით ვერ შეძლებს დაკისრებული მოვალეობის შესრულებას? თუ ადამიანი ბუნებით არ არის ვალდებულუების გრძნობითა და პატიოსნებით აღჭურვილი, ვერავითარი ანაზღაურება, ფული და სხვა რამ შემოსავალი მას ამ გრძნობას ვერ ჩაუწერავს. უსინდისო ადამიანს პატიოსანი კაცის როლის შესრულება სცენაზეც კი გაუჭირდება, არამც თუ ცხოვრებაში. ჩვენ ამის მაგალითები უამრავი ვიხილეთ გასულ წლებში. იცის ხალხმა ეს და ისიც იცის, ასეთებმა, რაც უფრო მეტი მოიპოვეს, რაც უფრო გაძლიერდნენ მატერიალურად, მით უფრო მეტი მოინდომეს, დაკარგეს ხალხთან ურთიერთობა და არა მარტო ურთიერთობა... დაკარგეს ადამიანურობისა და კეთილშობილების ნატამალიც კი. თუმცა, საკითხავია, ჰქონდათ?

არ ვიცი, ვის როგორ წარმოუდგენია, მაგრამ ერთი რამ კი ნამდვილად ვიცი, რომ ბევრისთვის და განსაკუთრებით კი იმათთვის, ვინც მეცნიერებაში დღელამ თავჩარგული იღვწის და თავის ინტელექტუალურ

მადიებელმა ადამიანებმა შექმნეს. მეცნიერება რომ არა, არ იქნებოდა ეკონომიკა, კულტურა, ხელოვნება და საერთოდ არ წარმოიშობოდა პლანეტაზე სხვადასხვა ცივილიზაცია, არ ექნებოდა კაცობრიობას არავითარი განვითარება, წინსვლა და მიღწევები. აი, რა არის მეცნიერ-პროფესორების შრომის ნაყოფი. მათი შრომა ჩვენს ქვეყანაში ცუდად არის შეფასებული, არა მგონია, რომ სხვაგანაც ასე იყოს.

მეცნიერებზე შევჩერდი, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სხვათა სახელფასო შემოსავალია ნუნდაუდებელი და ისეთი, ადამიანს რომ ყოფნიდეს სარჩვენად. როცა ძალიან ბევრ პროფესიონალს, ერთი თავის ჯამაგირი ერთი კვირის სასმელ-საჭმელში არ ყოფნის, მაგალითად, ბიბლიოთეკარს, ექიმს, მასწავლებელსა და თუნდაც დამლაგებელს (რა, ადამიანი არ არის?), ამ დროს ვინმე ჩინოვნიკს „თავზე საყრელი“ შემოსავალი აქვს ჯამაგირის სახით. გაჭირვებულს გაუგებს ახლა ის, მოხედავს და მასზე იზრუნებს? არა, რა თქმა უნდა! მისი საზრუნავი სულ სხვა სფერო გახდება, როგორ დააგროვოს ფული,

## ინფორმაცია

**საქართველოში შიღის პირის ინფორმაციის რეგისტრირებული**

**3759 შემთხვევაა რეგისტრირებული**

**რეგისტრირებული „ინტერპრესნუს“ შიღის ცენტრიდან აცნობეს, დაინფიცირებულთა შორის 2759 მამაკაცია, 1000 კი ქალი. მათ შორის პაციენტთა უმრავლესობის ასაკი 29-39 წლებშია. პაციენტთა შორის შიღის 2408 პაციენტს განუვითარდა, რომელთა შორის 824 გარდაიცვალა. ანტივირუსულ თერაპიას 1542 პაციენტი იტარებს, რომელთა შორის 39 პაციენტი გარდაიცვალა. შიღის 1993 ნარკოტიკების ინფექციური მომხმარებელია; 1469 პაციენტი პეტეროსექსუალური კონტაქტით დაინფიცირდა; 166 პაციენტი - ჰომო/ბისექსუალური გზით; 78 - ვერტიკალური გადაცემის გზით; 20 პაციენტი სისხლის რეცეპიენტია და 32 პაციენტი დაინფიცირების გზა დაუდგინებელია.**

**აივ ინფიცირების ყველაზე მეტი შემთხვევა**

**თბილისშია რეგისტრირებული (1308 შემთხვევა, მათ შორის, 74 უცხოეთის მოქალაქეა, 2 პაციენტის წარმომავლობა დაუდგინებელია).**

**მეორე ადგილზეა სამეგრელო, სადაც 542 ინფიცირებული ცხოვრობს, მათ შორის ზუგდიდიდან 403 პაციენტი; აჭარაში - 439 (მათში 291); იმერეთში - 492 (ქუთაისი 254); აფხაზეთში - 288; კახეთში - 165; ქვემო ქართლში - 175; შიდა ქართლში - 115; გურიაში - 79; ფოთში - 56; სამცხე-ჯავახეთში - 42.**

**სულ საქართველოში გამოვლენილია 81 აივ ინფიცირებული ბავშვი, რომელთა ასაკი 0-დან 15 წლამდეა. მათ შორის 51 ვაჟია, 30 გოგონა, 20 გარდაიცვალა, 3 მშობლებმა საზოგადოებრივ წაიფიცანეს. შიღის ცენტრში სულ 187 ორსულია რეგისტრირებული, მათ შორის 130-ს ანტივირუსული თერაპია ჩაუტარდა.**

კანონი უკანონოსა

ორმოცი კვირის წინათ პარლამენტმა პრეზიდენტს უფლებები სერიოზულად შეუზღუდა, გააძლიერა მისი ძალაუფლება უმცირესობაზე ერთსულოვანი იყო. როგორც ჩანს, ამჯერად ქალაქის მერიის უფლებების შეზღუდვის ჯერი დადგა.

უგულავას სამეფო აქვს მოწყობილი. ისე ნიშნავს ხალხს, არავის ეციხება. მერს უფრო დიდი უფლებები აქვს, ვიდრე პრეზიდენტს ჰქონდა. ის, რაც „ნაცმოძრაობამ“ თბილისში თვითმმართველობას გაუკეთა, ბოლშევიკები თუ გააკეთებდნენ, — განაცხადა დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ჯაბა სამუშიამ. მისი თქმით კანონში „თბილისის შესახებ“ უნდა აღდგეს ის ბმა, რომელიც განვითარებულ ქვეყნებში არსებობს ქალაქის მთავრობებსა და ქალაქის საკანონმდებლო ორგანოებს შორის.

სამუშიას განცხადებით, „ნაცებმა“ საკრებულოს მერიის კონტროლის ყველაწილი უფლება ჩამოართვეს და „თბილისის შესახებ“ კანონიდან ამოიღეს ყველა მუხლი, რომელიც ამას ითვალისწინებდა. მისივე აზრით, საკრებულო საჭურისად აქციეს, რომელსაც ბიუჯეტის დამტკიცების გარდა, არაფერს ვეითხება. სამუშია ამაში სააკაშვილს ადანაშაულებს, რადგანაც საკრებულოს ძალა კარგად იცის, თავისი კარიერა მან წომ აქედან დაიწყო. თუ ქალაქის მთავრობა საკრებულოს წინაშე არ იქნება ანგარიშვალდებული, არაფერი შეიცვლება. საკრებულოს უფლებებიც რომ დარჩენოდა, რაც შევარდნაძის დროს ჰქონდა, უგულავა იმის ნახევრის გაფუჭებასაც ვერ მოასწრებდა, რაც გააფუჭა, — მიაჩნია სამუშიას.

თბილისის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ზაზა გაბუნია აცხადებს, რომ მერის უფლებები არაა ადეკვატურადაა გაზრდილი, სამაგიეროდ, მინიმუმადეა შემცირებული მისი ვალდებულებები ხალხისა და საკრებულოს წინაშე. მერს, ამჟამად მოქმედი კანონით, არავითარი ვალდებულებები არა აქვს საკადრო, საფინანსო, საბიუჯეტო, ადმინისტრაციული და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების საკრებულოსთან შე-



გაუყენებენ უგულავას სააკაშვილის გზას?

თანხმებისა. ესაა კანონი უკანონობისა, რომლის მიხედვითაც დედაქალაქის მერის უფლებები აბსოლუტური და შეუზღუდავი გახდა, თვლის ოპოზიციონერი დეპუტატი. მისივე განმარტებით, მერიის უფლებების შემზღუდავ და საკრებულო უფლებების გამფართოებელ კანონპროექტზე ყველა ოპოზიციური ფრაქცია ერთად მუშაობს. გაბუნია აკონკრეტებს ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის არსსა და მიზანს. მისი თქმით, ასეთი პირობები მიღებულია იმისთვის, რომ დედაქალაქში მართვა ყოველგვარი კოლექტიური, ფართო წარმოადგენლობითი ჩარევის გარეშე განხორციელდეს. გამგებლობის ისე დაინიშნენ, რომ ისინი საკრებულოსათვის არც კი წარუდგენიათ. ამას მერს კანონი არც ავალდებულებდა. ოპოზიციური ფრაქციის თავმჯდომარეს ცვლილე-

ბები კანონში აუცილებლად მიაჩნია, რათა დედაქალაქის პირველი პირი იყოს არა ქალაქის მერი, არამედ წარმომადგენლობითი ორგანო — საკრებულო.

თავის ოპოზიციონერ კოლეგას არ ეთანხმება საკრებულოს უმრავლესობის (ნაცები თბილისის საკრებულოში ჯერ კიდევ უმრავლესობაში არიან) ფრაქციის თავმჯდომარე კოკი იონათამიშვილი. მისი განმარტებით, საკრებულოს აქვს მერიის მაკონტროლებელი ფუნქციები და მექანიზმები. თუმცა, ფრაქციის თავმჯდომარე არ გამოიხატავს, რომ კანონში „თბილისის შესახებ“ ცვლილებები შევიდეს, რომლის საფუძველზეც საკრებულოს დამატებითი ფუნქციები მიეცემა ან პირიქით, მაგრამ ყოველივე ეს უნდა მოხდეს მთლიანი თვითმმართველობის რეფორმის ფარგლებში.

იონათამიშვილი აცხადებს, რომ მისმა ფრაქციამ ამ ცოტა ხნის წინათ მხარი დაუჭირა წინადადებას საკრებულოში კომისიის შექმნის თაობაზე, რომელიც თვითმმართველობის რეფორმაზე იმუშავებს. ყველა საკითხი, წინადადება, რაც თბილისის შესახებ საკრებულოშია დაგროვილი, რაც შემდგომ შემოვა, ამ კომისიაში მოყრის თავს, ამტკიცებს დეპუტატი.

იგი ზოგადად საქართველოში დაგეგმილ თვითმმართველობის რეფორმის საკითხებსაც ეხება და აცხადებს, რომ მასში პარლამენტარებთან ერთად ჩართული იქნებიან არასამთავრობოები, სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფები, სადაც განხილული იქნება ამა თუ იმ თვითმმართველობის ინსტიტუტთან, თვითმმართველ ქალაქებთან, ნებისმიერ მუნიციპალიტეტთან დაკავშირებული საკითხები.

პარლამენტარი ჯაბა დავითაშვილი აკონკრეტებს იონათამიშვილის ნათქვამს და აცხადებს, რომ პარლამენტი ზოგადად უკვე მუშაობს თვითმმართველობის რეფორმაზე, თუმცა, მისთვის ჯერჯერობით უცნობია ამ საკითხებზე თბილისის საკრებულოს (როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობის) მოსაზრება.

ზაზა ბილინძა

SOS: როგორ შეგვაფასეს?

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF) ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც აგერ უკვე, თითქმის 25 წელია, ყველა ქვეყნისთვის, მათ შორის ისეთებისთვისაც კი, სადაც ეკონომიკა თუნდაც ჩანასახოვან მდგომარეობაშია, ბიზნეს-გარემოსა და კონკურენტუნარიანობის რეიტინგს ადგენს, რომელსაც „გლობალური კონკურენტუნარიანობის მოსწენებაში“ აქვეყნებს ხოლმე. აღნიშნული ანგარიში მსოფლიო მასშტაბით ყველა ქვეყნისთვის ერთნაირი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ყველაზე სრულად შემფასებელი დოკუმენტია, რომელშიც საქართველო 2004 წლიდან რეგულარულად სვდება.

ეკონომიკური ფორუმის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში დადგენილი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი ძირითადად ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს მცირე, საშუალო და დიდი ბიზნესის კვლევებს ემყარება, რაც ინდიკატორთა მთელი ოდენობის დაახლოებით ორ მესამედს იძლევა, ხოლო დანარჩენ ერთ მესამედ შეფასებას რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციიდან იღებენ. მოხსენებაში ძირითადი რამდენიმე ტაპიანი ფაზაა, რომელიც ფაქტორებს, ეფექტიანობასა და ინოვაციურ ეტაპებს მოიცავს.

ბირველი ფაზა: სხვადასხვა ფაქტორზე ორიენტირებული ეკონომიკების რიცხვში ის ქვეყნები მოქცეული, რომელთა ეკონომიკებიც თავდაპირველად სხვადასხვა ფაქტორზე არიან ორიენტირებული და ბაზრის შიგნით კონკურენცია, უწინარესად, დაბალი კვალიფიკაციის იაფ მუშახელსა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე, სტაბილურ მაკროეკონომიკურ გარემოზე, კარგად განვითარებულ ინფრასტრუქტურასა და კიდევ რამდენიმე სხვა ფაქტორზეა დამოკიდებული;

მეორე ფაზა: იგი იმ ქვეყნებს მოიცავს, რომელთა ეკონომიკებს მოცემულ ეტაპზე წარმოების უფრო ეფექტიანი პროცესების განვითარებასა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა აქვთ დასაწყისი. ამ ეტაპზე ბაზარზე კონკურენტუნარიანობა უფრო მეტად მუშახელის განათლების მაღალ დონეზე, მოწინავე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობაზე, კარგად ორგანიზებული შრომის და განვითარებული ფინანსური, ასევე პროდუქციის გასაღების ფართო საშინაო და სა-

გარეო ბაზრების არსებობაზეა დამოკიდებული;

მესამე ფაზა ინოვაციურად ორიენტირებულ ეკონომიკებს მიმოიხილავს. ამ კატეგორიის ეკონომიკების ქვეყნებში მოსახლეობის შემოსავალი იმ დონემდე უნდა იყოს გაზრდილი, რომ ყველა წევრის, მცხოვრების მაღალი დონის სტანდარტის მოთხოვნას აკმაყოფილებდეს, ხოლო ბიზნესს გასაღების ბაზარზე ახალი უნიკალური პროდუქციისთვის კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოება შეეძლოს.

რუქტურა; მაკროეკონომიკური გარემო; დაწყებითი განათლება და ჯანმრთელობა; უმაღლესი განათლება და ტრენინგი; საქონლისა და შრომის ბაზრების ეფექტიანობა; ფინანსური ბაზრის განვითარების დონე; ტექნოლოგიური მზაობა; გასაღების ბაზრის სიდიდე; ბიზნესის სრულყოფა და ინოვაცია.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მოსწენებაში „გლობალური კონკურენტუნარიანობა 2012-2013“ საქართველომ მეთორმეტედან მეექვსე სვეტში გადაი-

არის ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობათა მაქსიმუმი მისი კონკურენტუნარიანობის მხრივ, რაც ასევე მთელი რიგი მაჩვენებლის გაუარესებასაც განაპირობებდა გარკვეულწილად. კერძოდ, საქართველომ ბოლო ერთი წლის მანძილზე 10 საფეხურით პოზიცია დათმო და 82-ე ადგილზე აღმოჩნდა ბაზრის ეფექტიანობის მხრივ; მდგომარეობა გაუარესდა ინოვაციების პოზიციის მხრივაც, რაშიც 8 პუნქტით ჩამოვკვეთით და სიის ბოლოსკენ, 126-ე ადგილზე გადაინაცვლეთ. ხუთადგილიანი უკანსვლა ასევე უმაღლესი განათლების მიღების სფეროშიც, სადაც ოდესღაც ამ მხრივ ერთ-ერთი პირველი საბჭოთა რესპუბლიკა ახლა მსოფლიოში მხოლოდ 93-ე ადგილზეა. უკანსვლა ასევე, თუმცა, ერთობ უმნიშვნელო, შრომის ბაზრის ეფექტიანობის და ბიზნესის დახვეწილობის, აგრეთვე, კერძო და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მხრივაც, თუმცა, რაიმე წარმატებები ამ სფეროებში არც მანამდე აღგვენიშნებოდა. ამჟამად კი, შესაბამისად, ამ პარამეტრებით 105-ე და 106-ე პოზიციები გვიკავია.

საგულისხმოა, რომ მოხსენებაში საზღვარსაღარა აღნიშნული, რომ კონკურენტუნარიანობის ამაღლებას მხრივ საქართველოს წინაშე ყველაზე დიდი გამოწვევებია სამთავრობო ინსტიტუტების გაძლიერება, უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება, აგრეთვე, შრომის ბაზარზე თანასწორობის დამკვიდრება და მისი ეფექტიანობის ამაღლება.

საინტერესოა კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით ჩვენი მეზობელი ქვეყნების წარმატებები. ამ მხრივ ჩვენზე გასაღებით მოწინავე პოზიცია უკავიათ თურქეთს (43 ადგილი) და აზერბაიჯანს (46-ე ადგილი), ამასთან, თურქეთის ეკონომიკა ამ პარამეტრით სამხრეთ ევროპის მოწინავე ქვეყანაა. რეიტინგის 67-ე პოზიციაზეა რუსეთი, ხოლო სომხეთს 82-ე ადგილი მიაკუთვნეს.

გარდა ამისა, აღსანიშნავია კონკურენტუნარიანი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ნუსხა, რომელთაგან უდავო ლიდერი უკვე შედრე მეოთხე წელია შეიცვალა, რომელსაც მოსდევს სინგაპური და ფინეთი. რეიტინგის მოწინავე ქვეყნების ათეული კი ასე გამოიყურება: შედეგით, ნიდერლანდი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ჰონგკონგი და იაპონია.

ოთარ ტურაბელიძე

კონკურენტუნარიანობის დონე: მეორე კატეგორიაში მივირჩივართ

გარდა ამისა, ამ ფაზაში კომპანიებს კონკურენტუნარიანობის ის დონე უნდა გააჩნდეთ, რომ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით ახალი სახეობის პროდუქციის წარმოების უნარი შესწევდეთ ინოვაციური სანარმო პროდუქციის გამოყენებით და ბიზნეს-მოდელის დანერგვით.

აქვე ვიტყვი, რომ ქვეყნები კონკურენტუნარიანობას აქტიურად იყენებენ ეკონომიკური ზრდის შემადგენლები ფაქტორების გამოყენებით, რომლებიც ანალიზის შემდგომ ეკონომიკური პოლიტიკის კორექტირებას ახდენენ. ასევე ამის თაობაზე ანგარიშის მომხმარებლები არიან კომპანიები ეკონომიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის, ასევე ინვესტიციებთან დაკავშირებული საკითხების დაგეგმვისას. გარდა ამისა, ბუნებრივია, ის დიდ ინტერესს წარმოადგენს ასევე დიდი თუ მცირე საინვესტიციო ფონდებისთვის კაპიტალდაბანდებისთვის უფრო პერსპექტიული ქვეყნებისა და დარგების შერჩევისას.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ანგარიში გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსს ეყრდნობა, რომელიც 12 სვეტში მოთავსებული III სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორს ეფუძნება, რომლებზეც ქვეყნის ეკონომიკური სტატუსია დამყარებული. აღნიშნული სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორები, როგორც ვთქვით, 12 სვეტშია დაჯგუფებული, მათ შორისაა სამთავრობო ინსტიტუტები; ინფრასტ-

ნაცვლა და რეიტინგში II პოზიციით წინ წავიდა.

საექსპერტო შეფასებით, ქვეყანამ 7-დან 4,1 ქულა დაიმსახურა, რა შედეგითაც 144 ქვეყანას შორის 77-ე პოზიცია დაიკავა და „ეფექტიანად მართვად ქვეყნების“ მეორე კატეგორიაში გადავიდა.

ყველაზე საგრძნობი წინსვლაა დაფიქსირებული მაკროეკონომიკური გარემოს გაუმჯობესების მხრივ, რა პოზიციითაც ქვეყანა 49 საფეხურით დანინარდდა: წინა ანგარიშის შედეგებით საქართველო ამ პარამეტრით 137-ე ადგილზე იმყოფებოდა, წლეულს 88-ე ადგილზე გადაინაცვლეთ; ინფრასტრუქტურის კატეგორიაში საქართველოს 53-ე ადგილი უკავია (ამ შემთხვევაში წინსვლა 15 ადგილია), რაც სატელეფონო კომუნიკაციების საგრძნობმა გაფართოებამ განაპირობა. გარდა ამისა, ჯანმრთელობის დაცვისა და პირველადი განათლების მიღებისა და ფინანსური ბაზრის განვითარების მხრივ ექვსეექვსი ადგილით ზევით ავედით და, შესაბამისად, 61-ე და 93-ე ადგილები დავიკავეთ; ტექნოლოგიური მომზადების მხრივ 24 ადგილით წინსვლამ 76-ე ადგილზე მოგვასვენდრა, ხოლო გასაღების ბაზრის სიდიდით 99-ე ადგილი ასევე ექვსადგილიანი „ნახტომის“ შედეგია.

აღნიშნული წარმატებების მიუხედავად, რომელიც მანამდე საქართველოს, 144-ქვეყნიანი ნუსხის შუაში, სიის მეორე ნახევარში მიუჩინა ადგილი, ნამდვილად არ

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

The Iranians who come to Georgia

By Damien McGuinness  
EBC News, Tbilisi



Bobek says he was jailed and beaten in Iran for Christian preaching

Increasing numbers of Iranians are settling in the former Soviet state of Georgia. Some say they are being forced to move because of Iran's poor economy, hit hard by Western sanctions. Others blame persecution by the authorities in Tehran.

როგორც დემიენ მაკგინესი წერს, მასთან პირად საუბარში ბევრი ირანელი აღნიშნავს, რომ ქართველებისთვის დამახასიათებელი თვისებებში, როგორც ოჯახური ფასეულობები და სტუმართმოყვარეობაა, მათ ირანს აგონებს, რის გამოც ისინი აქ თავს ისე გრძობენ, როგორც სამშობლოში.

საქართველო იმედოვნებს, რომ ირანელების შემოდინება ქვეყნის ეკონომიკის ზრდას შეუწყობს ხელს, - წერს სტატიის ავტორი, - თუმცა, პრობლემაა, როგორ შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობა ახლომდებარე ირანთან ისე, რომ თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტი მნიშვნელოვან მოკავშირე აშშ-ისთან და ევროკავშირთან, რომელშიც განევრების სურვილი აქვს.

„საქართველოს სურს ევროპისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებს ეკუთვნოდეს, თუმცა, ამავდროულად, უნდა კარგი ურთიერთობები ჰქონდეს ყველა მეზობელთან“, - ციტირებს სტატიის ავტორი ალექსანდრე რონდელის კომენტარს, რომელმაც ასევე განაცხადა, რომ საქართველომ უნდა შეძლოს ბალანსის დამყარება

# ზოგიერთი ირანელისთვის საქართველო უსაფრთხო სამოთხეა

„საქართველოში ჩამოსული ირანელები“ - ამ სათაურით აქვეყნებს ბრიტანული „ბიბისი“ დემიენ მაკგინესის სტატიას. როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, საქართველოში დასახლებული ირანელების რიცხვი სულ უფრო იზრდება და ზოგიერთი მათგანი ამას ირანის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით ხსნის, რომელიც დასავლეთის სანქციების გამო დაზარალდა. ზოგიერთები კი სამშობლოდან წასვლის მიზეზად თეირანის ავტორიტარული რეჟიმის მხრიდან დევნას ასახელებენ.

როგორც დემიენ მაკგინესი წერს, შესაძლოა, საქართველოში სპარსულ ენაზე ყოველკვირეულად ჟურნალი Aryana გამოიცეს, რადგან აქ გადამოსახლებულ ირანელთა რიცხვი სულ უფრო იზრდება და შვიდი თვის განმავლობაში გაოთხმაგდა კიდევ.

ჟურნალი საქართველოში დასახლებულ ირანელებს ადგილობრივი კულტურისა და ტრადიციების გაცნობაში დაეხმარება, - აღნიშნავს დემიენ მაკგინესი და დასძენს, რომ როგორც ჟურნალის რედაქტორმა სარა ლაზიმ განაცხადა, ირანელები ინფლაციის წინააღმდეგ იბრძვიან. საქართველო მათთვის იდეალური ვარიანტია, რადგან ირანთან ახლოსაა და ირანელებს აქ შემოსასვლელად ვიზა არ სჭირდებათ.

„მდიდარ ირანელებს საქართველოში ინვესტირების სურვილი აქვთ, რადგან ამ ეტაპზე, ეს ქვეყანა მათთვის ერთგვარი ბიზნესცენტრია და მისი ეკონომიკა სულ უფრო იზრდება“, - ციტირებს სტატიის ავტორი სარა ლაზის სიტყვებს.

როგორც დემიენ მაკგინესი წერს, შარშან საქართველოში ირანელ ვიზიტორთა რიცხვი 60%-ით გაიზარდა, რაც წელიწადში დაახლოებით 100 ათასია. 6 ათასზე მეტი ირანელი კი ოფიციალურად არის დარეგისტრირებული საქართველოში რეზიდენტად, რაც ერთობ დიდი ციფრია ქვეყნისთვის, რომელიც მიუზღვევია იმიგრაციას.

ირანელი მენარბე ბაბაქ ამინისთვის, - წერს „ბიბისი“ კორესპონდენტი, - ირანის დატოვება ეკონომიკური მიზეზებით იყო გამომწვეული.

„ბაბაქ ამინის თბილისში მდებარე ახალ საკონსულტაციო ცენტრში შევხვდი, რომელსაც ქართულ-ირანული ბიზნესცენტრი ჰქვია და რომელიც ირანელებს კონსულტაციას უწევს, როგორ წამოიწიონ ბიზნესი აქ. კონსულტანტები დღეში 15 ირანელს ხვდებიან, რომელთაც საქართველოში კომპანიის გახსნა ან კერძო საკუთრების შექმნის სურვილი აქვთ“, - წერს დემიენ მაკგინესი.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, მისტერ ამინის თქმით, ირანში ვალუტის კურსის გაუფასურების გამო, რაც სანქციებითაა გამოწვეული, საქონლით ვაჭრობა შეუძლებელი გახდა.

საქართველოს უპირატესობა კი ისაა, - აღნიშნავს დემიენ მაკგინესი, - რომ ის რეგიონში ყველაზე მეტად პროდასავლური და ბიზნესის თვალსაზრით კეთილგანწყობილი ქვეყანაა. თუმცა, საქართველოსა და ირანს შორის ასევე მჭიდრო კულტურული და ისტორიული კავშირებია. ძველ თბილისში მდებარე აბანოები მეჩეთების სტილშია აშენებული, ძველი სახლების აივნები კი ირანული ტრადიციული არქიტექტურის ტიპური მაგალითია.

მთავარ მოკავშირეებსა და ახლომდებარე სახელმწიფოებს შორის, რომელთაც შესაძლოა, განსხვავებული პოლიტიკური იდეოლოგია აქვთ.

„რეგიონში სამი ზესახელმწიფო გვყავს - რუსეთი, თურქეთი და ირანი. ჩვენ არ შეგვიძლია სიტუაციის უგულვებელყოფა, რადგან სამივე მათგანთან უნდა ვითანამშრომლოთ. ისინი დაკავშირებული არიან ჩვენს სტაბილურობასა და უსაფრთხოებასთან. ასე რომ, ვფიქრობ, ირანთან კარგი ურთიერთობა, განსაკუთრებით ბიზნესში, საფრთხეს არ წარმოადგენს არც საქართველოსთვის და არც საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის“, - ციტირებს სტატიის ავტორი ალექსანდრე რონდელის სიტყვებს.

თუმცა, ზოგიერთი ირანელისთვის, - წერს დემიენ მაკგინესი, - საქართველო უსაფრთხო სამოთხეა, სადაც არ გდევნიან.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, საქართველოში ცოტა ხნის წინათ გადმოსახლებულ ირანელ ევანგელისტ ქრისტიანებს შეხვდა, რომლებიც ქუჩაში თავიანთ საგალობლებს მღეროდნენ. თბილისის შუაგულში მათ პატარა ფარდული დადგეს და გამგელე ირანელებს სპარსულ ენაზე დაწერილ ბიბლიას სთავაზობენ. მლოცველთა ამ ჯგუფს ბაბეკი ჰქვია, - წერს დემიენ მაკგინესი და აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი მათგანის განცხადებით, ირანში, ქუჩაში ლოცვისთვის, მას სასტიკად სცემეს და 40 დღით პატიმრობა მიუსაჯეს.

როგორც სტატიის ავტორი წერს, ბევრი ირანელი

აცხადებს, რომ საქართველოში ცხოვრება მათთვის თავისუფლებას ნიშნავს, ქალბატონების თქმით, ყველაზე მეტად საიმედოა, რომ აქ ტრადიციული ირანული თავსაბურავის გარეშე უწევთ სიარული.

ჟურნალი Aryana-ის რედაქტორს კი საქართველო 10 წლის წინანდელ დუბაის აგონებს და აცხადებს, რომ აქ ადვილია ინვესტირება და ბიზნესის ზრდა.

თუმცა, - აღნიშნავს დემიენ მაკგინესი, - საქართველოში უმუშევრობა საკმაოდ მაღალია. ასე რომ ირანელებისთვის, რომელთაც ბიზნესისთვის საწვავის კაპიტალი არ გააჩნიათ, სამსახურის შოვნა საკმაოდ რთულია. მაგრამ ბევრი მათგანი ამბობს, რომ, მიუხედავად ამისა, მათ აღმოაჩინეს ქვეყანა, სადაც თავისუფლება აქვთ.



## დადაიჩის ზურგზე



### ბომახაი, დახანილი ღვთისა და შაკალაი, გვიხიკვახან, ამოვიხნოთ ბოსტონის მარათონზე აწითაბის მიხნაბი

ბაკისტანელმა ისლამისტებმა შეაქვე შეტევა, მაგრამ განაცხადეს, რომ ისინი არაფერ შუაში არიან. პასუხისმგებლობა ტერორისტულ აქტზე ჯერჯერობით არავის უკისრია. ბოსტონში გაძლიერებული უსაფრთხოების ზომები, პოლიცია აწარმოებს ქუჩების პატრულირებას. დაზარალებული რაიონის ტერიტორია გარშემორტყმულია. გრძელდება დაღუპულთა შესახებ მონაცემების დაზუსტება.

### „გვარდით ვილანის ფანაზა ჩამიქაროლა...“ ბოსტონის მარათონზე აწითაბის თვითმხილველნი საუბრობდნენ მომხდარის შესახებ



„გ ა ვ ი გ ო ნ ე აფეთქების ხმა, რომელიც ქვეყნის ზალბს მოგვაცოცხლებდა. ხალხი გარშემო მაღლა იყურებოდა - ფიქრობდნენ, რომ ეს არის ფიფქველი“, - პირველ წუთებში ვერავენ გაიგო, თურა მოხდა, ძლიერი ხმა მისისძვრად მიიჩნია, ავარიად ან მატარებლის აფეთქებად მეტროში. დაზარალებულთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტრავმა მექანიკური ამბულაცია გახდა.

### უილანის ბაკაბი აშშ-ში 9/11 შემთხვევა: კვლევის ფარგლებში ბიურო სწავლობს კაღაბს, რომლებზეც ალბაქვანს აწითაბაბი მარათონზე

ბარაკ ობამას თავის გამოსვლაში სიტყვა „ტერორისტული აქტი“ არ უსენებია, მაგრამ თვით სახლში განაცხადეს „ტერორის თვალსაზრისით აქტის შესახებ“. გამოკვლევას სათავეში უდგას კვლევის ფედერალური ბიურო, მას შეუერთდნენ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და ეროვნული ანტიტერორისტული ცენტრი. ჯერჯერობით ორი ვერსიაა იმის შესახებ, თუ ვის შეიძლება დაეჭვდნენ ბომბები. პოლიციას მისცეს საგარეო მინარტული შავკანიან საეჭვო პიროვნებაზე ზურგჩანთით.

### ბოსტონში აწითაბის შემთხვევა იაპონიაში გააკლიარეს უსაფრთხოების ზომები

პრემიერ-მინისტრმა სინძო აბემ განმარტა, რომ სამართალდაცვის ორგანოები მუშაობენ, რათა უზრუნველყონ მნიშვნელოვანი ობიექტების მაქსიმალური დაცვა, მიიღონ შესაბამისი ზომები ხალხის თავშეყრის ადგილებზე. გაძლიერებულია დაცვა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზებზე.

### აშშ-მ რაკაბის დახმარებით ჩაიხილა კორეის სანაღრო-დამოკიდებული პიროვნების საიდუმლოებები. რაკაბა რაკანიდან ამოიღეს

რაკეტა „ინვა-3“-ის წინა ნაწილი, რომელიც, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების სიტყვებით, გამოიყენებოდა ორბიტაზე თანამგზავრების გასაყვანად, ასეთივე წარმატებით შეიძლება გამოგვეყენებინა, როგორც საბრძოლო ბირთვული ქურვი. ამის შესახებ მეტყველებს რაკეტის ყველა ტექნიკური პარამეტრი. ამავე დროს ადრე ამერიკის შეერთებული შტატები უარყოფდა ხმებს იმის შესახებ, რომ ფხვნიანი მზად არის ბირთვული ქუბინის შექმნისთვის.

### ჩინეთში ქათმის ბრძინის მსხვერპლთა რიხსში 14-მდე გაიხარდა, დააწავაბუღაბისა კი - 63-მდე

წინა დღით გარდაიცვალა აღმოსავლეთ ჩინეთის პროვინციის ცზიანსუს მცხოვრები, 24 კაცს შეეყარა ვირუსი შანაიში, 17 - ცზიანსუს პროვინციაში, 16-ს უჩინციანის პროვინციაში, 3-ს ანხოს პროვინციაში, 2-ს ხენანის პროვინციაში და ერთს ჰეიკინში.

### ვენესუელაში რაკოხიის მარტი დახლას მარამდენი გახიით. აშშ მხარს უჭერს არაკვენაბი ხეაბის ხელახლა გადათქვანს

პრეზიდენტად გამოცხადებულმა ნიკოლას მადურომ განაცხადა, რომ მზად არის, მოწვევოს ამომრჩეველთა ხმების შედეგების დაანგარიშების შემომწმება, თუმცა, გამოთქვა რწმენა, რომ მან სამართლიანად მოიპოვა გამარჯვება. მან დაავალა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, გულდასმით ყველაფერი შედახლა დაითვალა. ამ დროს მადურომ უკვე მიიღო პრეზიდენტის მონობა.

დასაბუთი და სასჯელი

ნასიონალი გეგმა

შპშ ჩვეულებად მექსა, სოფელში ჩასვლისთანავე მეზობელს გადაველაპარაკებო, მივიკითხ-მოვიკითხავ და დილისთვის ღამით მაცივარში ჩაყვებულ მარონს შევეკვ-ვეთავ. ამჯერადაც დაეპირე შეხმინებმა, მაგრამ გო-გიას ჩამოყრილ ყურმესა და ძველი ნამგალივით გა-ლეულ ცხენის რომ შევხედე, მივხვდი, მთლად ალ-ჩუბე არ უნდა ჰქონოდა საქმე და სათქმელი ჩვენს და-ნავსულ პრეზიდენტზე გადავამისამართე.

- გოგი, გაიგე, კაცო, - ვეუზნები, - სააკაშვილი თურ-ქეთში ტრაილერს რო დაეტყვა?
- ეჰ, ეგა, ძმაო, მანამდეც იყო ნატაკები, ვიდრე პრე-ზიდენტად ავირჩევდით, მაგრამ რო ვერაფერი შევატყ-ვეთ? პრეზიდენტს აღარა ვჩივი, ნეტა ფაქიზოს (ძროხის სახელია) ჯაჭვი მომანელებინა.
- ფაქიზოს რა დავებოდა? - შევიცხადე.
- რაღა რა დავებოდა, ამ ზამთარ მგელი შემომი-ვარდა ეზოში და მუცელი გამოფატრა.
- მერე, ცოცხალი გაუშვი?
- მე რა გავუშვი, ჯო, თავად გამეცხა. ძროხის ბლა-ვილზე სასწრაფოდ გამოვარდი, ორლულიანიც დავაქეხე, მაგრამ დროზე იყოსა იმ ოხენმა და მოქუსლა.
- მერე, არ გამოეკიდე?
- როგორ არა, ეზოს ბოლომდე ვდიე, მაგრამ გა-დახტა თუ არა ღობეზე, მაშინვე გამოვტრიალდი.
- რატო, კაცო, - ვსაყვედურებ, - ეზოს იქით რო მო-გეკლა, ვინმე გიჩივლებდა?
- არა მაგრამ, კანონს ვერ დავარღვევდი.
- თუ ძმა ხარ, რომელ კანონზე მელაპარაკები?
- აი იმაზე, მგლის სიცოცხლეს რომ იცავს. კარგად მოგვხსენებთ, მთელ ვეროპაში სანიმუშო დემოკრატიულ ქვეყნად გვიცნობენ და მოვალენი ვართ, მგლის უფ-ლეზე ისევე დავიცვათ, როგორც ადამიანისა.
- კანონი რომ არ დავიცვა და მოგეკლა, მაინც რას გიბამდნენ?
- ხუთასლარიან ჯარიმას ამკიდებდნენ. ძროხის ზა-რალი არ შეყოფოდა, ჯო, ზედ კიდევ ჯარიმაც არ და-მემატებინა?
- როგორ, კაცო, - ვაგწყნი მე, - მგელმა შეგიჭამა და კიდევ შენ დაგაჯარიმებდნენ?
- ასეთია კანონი და რა ვქნა. ჩემ ეზოში რომ მო-მეკლა, ვიტყვით, სახლში შემომივარდა-მეთქი, მაგრამ გარეთ რა უფლება მქონდა?
- მაგრამ ხო ფაქტია, რომ იმ მგელმა ძროხა შეგი-ჭამა?
- ძროხა რო მგელმა შემეჭამა, ეს კი ფაქტია, მაგ-რამ ეზოს გარეთ რომ მომეკლა, რით დავამტყუცებდი, რო ფაქტობ სწორედ იმ მგელმა შეჭამა და არა სხვამ?
- გამოდის, რომ სასამართლოში თუ დაგიბარებდ-ნენ, მოწმე უნდა მიგეყვანა?
- ამა როგორ, მოწმე თუ არ დამიდასტურებდა მგლის თავდასხმის ფაქტს, ისევე მე ვამატყუცებდნენ და, როგორც ვთქვი, ჯარიმას ამკიდებდნენ.
- თავად მგელი რო დაეკითხათ? - არ ვეუბნები მე-ზობელს.
- კარგი ერთი, სახუმროდა მაქ საქმე? - ამრიგა გოგია, - ხო ნახე ნაპროკურორალი დინიაშვილი და საყვა-რელიძე ვერ მიიყვანეს დასაკითხად და მგელი რომ გამოიჭირონ კიდევ ტყეში, დაიჭვენებია, რომ დაკითხვამდე დაითანხმებდნენ?
- რას ამბობ, მაგასაც კამინეტის დათმობა არ დაე-ნანოს, სულაც ზადრავის თანხლებით წაათრევენ ტყე-დან, მაგრამ სხვა საქმეა, აღიარებს კი მგელი ჩადე-ნილ დანაშაულს?
- მეც მანდა ვარ, - გამოცოცხლდა თანამოსაუბრე, - ნამინისტრალიმა ზაჩო ახალაიამ იმდენი დანაშაულიდან არც ერთი არ აღიარა და მგელს ვითომ სინდისი და-ქენჯნის და ყველაფერს წამოაყრანტალეშს?
- რატომაც არა, შენ ვგონია, ნაციონალი ჩინოვნი-კები მგელზე უკეთესი მოზალის პატრონები არიან? მაგ-რამ მგელიც აის და მგელიც, ამბობენ, რომ ნამუს-გარეცხილი ნაციონალი იმითავე მოიძებნებია.
- მართალი ხარ, - მიკანტურებს თავს გოგია, - ამას წინათ ვაბეჭდო ამოვიკითხე, რომელიღაც მგელი, რო-მელმაც გლეხკაცს ცხვარი შეუჭამა, მართლაც გაუსა-მართლებიათ, მაგრამ მას, იმის მაგივრად, რომ და-ნაშაული ეღიარებინა, თურმე დაზარალებული აქეთ და-უდანაშაულეობა.
- თავის ვასამართლებლად რა საბუთი დაუდგია?
- არაფერი ისეთი, უთქვამს, რომ ტყეში ჩემს მიერ აშენებული იუსტიციის სახლის დანგრევას აპირებდნენ ამის ცხვენები და იმითმ შეგსანსლეთო.
- იმ მგელს ადვოკატაც ჰყოლია?
- როგორ არა, თურმე ვილაყ თუთბერძე იცავდა მგლის უფლებებს.
- ეგ მგელი ნაციონალი იქნებოდა, - და-ვასკვენი ანაზად, - ხო ვითხარი, მგელმეშიც ბლომად ურევან თურმე ნაციონალები.
- ალბათ, დამეთანხმა გოგია, - როგორც იმ ვაბეჭდო ეწერა, მოსამართლეს მგელი პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან ისე გაუშვია, რომ გირაოც კი არ გადაუხდები-ნებია!

ოტია ჩართოლანი



მიტოვებული ნარკოტიკების წინ

რომანის მთავარი მოქმედი გმირი ანდრეი პუზირკოვი თანამედროვე რუსულ სამყაროში აზროვნებს და მოქმედებს ისე, რასაც ხალხი იმსახურებს. ამ ხალხის 70 პროცენტი ავადმყოფი, ანუ ოლიგოფრენია, 30 პროცენტი კი ოლიგარქი ან ოლიგარქთა შემეფურგლებიანია არამზადდა.

ურთიერთობის ფორმაც გა-რემოებათა შესატყვისია, - განუწყვეტელი შეუ-რაცხყოფა იმათიც და ამათიც. ხან ისინი შეუ-რაცხყოფენ ამათ, ხან ესენი - იმათ.

სწორედ თავხედთა სახელით წარმომადგენლობს ოლიგარქი ანდრეი პუზირკოვი, რომლის ქვეშევრდო-მია ასი ათასობით ადამიანი. თითოე-ულს, რა თქმა უნდა, ვერ სწვდება, მაგ-რამ... ვისაც სწვდება, ყველას ასე ელა-პარაკება:

- კიდევ ათას დოლარს მიიღებთ, თუ მაგ არამზადებს ჭკუას ასწავლით... იმათი სახელით კი, ვინც დაჩაგრულია, მკითხველს ხიბლავს ანტონ პუზირკო-ვის პიროვნება, რომელსაც მუდმივი სამუშაოც არა აქვს და დიდი „სიამოვ-ნებით“ იტანს ყოველგვარ შეუ-რაცხყოფას...

რომანში „რუსი პაციენტი“ ალექ-სანდრ პოტიომკინი საოცარი ფსიქო-ლოგიური ხერხებით ამტკიცებს, რომ თანამედროვე მეგაპოლისებში (და არა მხოლოდ რუსულ მეგაპოლისებში) მწერთა და კიდევ უფრო ბევრად უმ-დაბლეს ქმნილებათა ცხოვრება უმ-ნიშვნელო და შეუმჩნეველია...

ალექსანდრ პოტიომკინი თხრობის

რუსული რომანის საერთაშორისო თეატრალიზაცია



ნამდვილი ოსტატია. მწერალი დამაჯერებლად გვიმტკიცებს, რომ ადამიანთა თავგადასავ-ლის ფინალში მუდამ ჩანს რა-ღაც მისტიკური კატასტროფა და სიკვდილში აზრი მითია, ვიდრე სიცოცხლეში.

კრიტიკოსები სიამოვნებით აღნიშნავენ, რომ რომანის მოქ-მედ პირობათვის ზეგდამოჭრი-

ლად მორგებული გვარების (ომონასტიკურ) გამომ-გონებლობაში მწერალი-ბელეტრისტი დიდი თეოდორ დოსტოვესკის მონაფა.

მწერლის ადრინდელი რომანების - „გარენარი“, „მე“, „ადამიანი უქმდება“, „კაბალა“ - მსგავსად, ახალ რო-მანშიც რუსეთის და მისი მეზობელი ქვეყნების თანამედროვე სინამდვილის საერთო მდგომარეობის უტყუარი დი-აგნოზებია.

ალექსანდრ პოტიომკინი სოხუმში გაზრდილი კაცია, დაამთავრა ივ. ჯა-ვახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნა-ლისტიკის ფაკულტეტი... მისი ნიჭის აღიარება და დიდებული რომანის ქარ-თულად თარგმნა ამადაც გვახარებს. რომანი მართლაც და დიდებული ქართულითადაც გამოაქვს ცნობილმა მთარგმნელმა გურამ გოგიაშვილმა და ზურაბ ლომიძემ. ქართული გამოცემის დირექტორია გაბრიელ ნამთალაშვილი. ნიგნის რედაქტორია მაცვალა გონაშვი-ლი. კრებული გამოსცა „ინტელექტმა“.

„რუსი პაციენტი“ ყველა გემოვნები-ანმა მკითხველმა უნდა წაიკითხოს.

საპრტაპ მოვლინა

პატივგება

სამშობლოს არვის წავართმევთ...

„ომი ძირია. განკვეთთ აგრესორე-ბი“ ზრანალინ რუზვილტი

კუმისელის ბმირობა



...დაჭრილი ფეხით გადაკვეთს წინა ხაზს - ეს მამისაანთ უბანია, კარიბჭე ცხინვალისა. დაბომბვის შემდეგ მიწაზე წვანან მკვნესარე ჯარისკაცები, რომლებიც შევლას ითხოვენ. სხვას ვერაფერს შევლას ლეიტენანტი, რადგან მხოლოდ ჯო-ჯოხეთის ცეცხლი და კვამლი ტრი-ალეხს ირგვლივ.

თანამებრძოლებმა შესული კი დაინახეს სამხედრო ექიმი, მაგრამ ქალაქიდან გამოსული აღარავის უნახავს... არც არავინ იცის, რა მდგომარეობაში იყო იგი სი-ცოცხლის უკანასკნელ წუთებში.

იცოდა, არც ევალებოდა ფრონ-ტის წინა ხაზის იქით გადასვლა, მაგრამ მარტო არ მიატოვა არც მე-თაური და არც დაჭრილი მეგობრე-ბი განსაცდელში.

ვითონაც ფეხში დაჭრილი სამხედრო ექიმი, ლეიტენანტი ზუ-რაბ თეიმურაზის ძე ბეგიაშვილი კვლავ სხვათა გადარჩენაზე ფიქ-რობს. ტელეფონით უყვირიან, რომ დაბრუნდეს უკან, როგორმე გამო-ვიდეს ბრძოლის ველიდან... მაგრამ მერე აპატივებს კი საკუთარ თავს ასეთ ნაბიჯს? სად გაექცევა საკუ-თარ სინდისს? თუ არა აქ, მაშ, სადღა უნდა გამოჩნდეს მისი ვაჟ-კაცობა და სამშობლოს სიყვარუ-ლი?

ბევრი თანამებრძოლის სი-ცოცხლე იხსნა ზურაბ ბეგიაშვილ-მა საკუთარი სიცოცხლის ფასად. ის წლეულს 33 წლისა შესრულ-დებოდა. დაიბადა 1980 წლის 3 თებერვალს გარდაბნის რაიონის სოფელ კუმის-ში. მშობლებმა თეიმურაზ და ნელი ბეგიაშვილებმა გვარის გამგრძე-ლებელს დიდი პაპის სახელი დაარ-ქვეს. უფროსი დის მსგავსად, მანაც ექიმის პროფესია აირჩია და სამე-დიცინო ინსტიტუტის კოლეჯის დამთავრების შემდეგ სამკურნალო ფაკულტეტის II კურსზე ჩაირიცხა. მესამე კურსიდან კი, რადგან სამხედროთა ცხოვრებაზე ძალიან

იყო შეყვარებული, სამხედრო სა-მედიცინოზე გადავიდა.

მუშაობა ვაზიანში, IV ქვეითი ბრიგადის ლაზარეთში დაიწყო. მონდომებული და ნიჭიერი ახალ-გაზრდა იქიდან სამხედრო აკადე-მიაში, ოფიცერთა კურსებზე გააგ-ზავნეს, რომელიც დაჩქარებული წესით დაამთავრა და ლეიტენან-ტის წოდებაც მიიღო. ცოტა ხანს მარნეულის კლინიკაშიც იყო რე-ზიდენტი, მაგრამ იქ დიდხანს ვერც გაჩერდა, რადგან გული კვლავ სამხედრო სამსახურისკენ უწევდა - ბეგიაშვილი მეოთხე ბრიგადაში, 42-ე ბატალიონის ექი-მად დაბრუნდა.

სილამაზე უყვარდა. წარმოსახვის დიდი ნიჭი ჰქონდა. ბუნებით რო-მანტიკოსს სამყაროს მშვენიერება სულსაც უღამაზებდა. ხატავდა, მოთხრობებს წერდა...

უნაკლო კაჟკაცი იყო ზურაბ ბე-გიაშვილი.

დედამისი, უკეთილშობილესი ქალ-ბატონი, პედაგოგი ნელი ბეგიაშვი-ლი დღემდე ამაოდ გაჰყურებს ერთ-დერთი ვაჟის გზას... შვილის ტრაგე-დიამ კი მალევე იმსხვერპლა მამამისი. ძმის სახეს ხსოვნაში აცოცხლებს მი-სი გამწარებული დაიყო...

ზურა ჯერ უგზო-უკვლოდ და-კარგულად გამოაცხადეს. ისიც თქვეს, ტყვედ ჩავარდაო... ოთხი თვის შემდეგ კი, ერთ-ერთი უცნობი ჯარისკაცის ცხედარი დემონი ანა-ლიზის შემდეგ, ზურაბ ბეგიაშვი-ლისა აღმოჩნდა.

ის ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით დააჯილდოვა სამშობლოს. ზურა მშობლიური სოფლის, კუმისის სასაფლაოზე გა-ნისვენებს.

მან და მისმა მეგობრებმა, სულ რჩეულმა, ვაჟკაცმა ბიჭებმა, თავი-სი სისხლით დანერგეს აგვისტოს ომის ისტორია, ზნეობისა და გმი-რობის მაგალითი დაუტოვეს მომა-ვალ თაობებს.

საქართველო თავის გულში სამა-რადუამოდ აცოცხლებს ზურაბ ბე-გიაშვილის უკვდავ სახელს!

...ახლა გაზაფხულია, სამყარო ზემოშეს ახალი სიცოცხლის დანყებას. საქართველოს ფერად ხალხიას კი, ისევე აკლია აფხაზეთის სილაფვარდე და სამაჩაბლოს ზურ-მუხტი, ის უძველესი კუთხეები, რომლის დაცვასაც შეეწირნენ ზუ-რა და მისი მეგობრები...

ლია ჭილაძე

კიდევ ერთი ბმირი - ბიორკი ანუშელიძე

საბარტოვილს პრეზიდენტმა 2008 წლის აგვისტოს ომ-ში დაღუპული გიორგი ანუშელიძე სიკვდილის შემდეგ ეროვნული გმირის ორდენით დააჯილდოვა. ჯილდო მისივე სააკაშვილმა გიორგის მუდღღეს მაკა ჩიკვილიძეს გადასცა. უმცროსი სერჟანტი გიორგი ანუშელიძე 2008 წლის რუ-სეთ-საქართველოს ომის დროს ცხინვალში ტყვეობაში გარ-დაიცვალა. მას მინიჭებული აქვს ვახტანგ გორგასლის პირ-ველი ხარისხის ორდენი. გიორგი ანუშელიძე 1984 წლის 18 აგვისტოს ანტის რა-იონის სოფელ ალვანში დაიბადა. იყო მეტყვეობამორქვევის თანაშემწე. პეაგს მუდღღე და ორი შვილი - ლევან და ანა ანუშელიძეები.



ჭაღრაკი

მეორე ადგილი და გაუმჯობესებული რეიტინგი



დუბაიში (არაბთა გაერთიანებული საამიროები) დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 50.000 დოლარი), რომელშიც ექვსი ქართველი დიდოსტატიც ცდიდა ძალებს. მათგან განსაკუთრებით საქართველოს ქალთა ნაკრების წევრმა ბელა სოტენაშვილმა იყო ჩაღრაკი: ბოლო ტურში მან ინდოელი კრიშნა დაამარცხა და ცხრა შესაძლებელიდან 6 ქულით ქალებში ჩინელი ცზიუ ვენძიუნის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა, თან რეიტინგი 13,2 პუნქტით გაიუმჯობესა. ბელაზე ნახევარი ქულით მეტი მოაგროვა ლევან ფანცულაიამ, რომელმაც მე-9 ტურში ზი-აურ რახმანს (ბანგლადეში) მოუგო და მე-16 ადგილზე გავიდა.

ლემსო ცინცაძე

რაგბი

ქალაქის ფეხს იდგამენ



მერ ვიტევი, რომ საქართველოში ქალთა რაგბი ვითარდება, რადგან ამ სახეობაში 18 წელს გადაცილებული სულ 14 გოგონა ვარჯიშობს. არც ეროვნული ჩემპიონატი იმართება და სათამაშო პრაქტიკაც იშვიათად აქვთ. ამის მიუხედავად, ჩვენმა შეიქმნა ნაკრებმა ოდესის საერთაშორისო ტურნირზე წარმატებით იასპარეზა. შეჯიბრებაში ექვსი გუნდი მონაწილეობდა. ჯაბა მალა-ლურაძის შეგირდებმა სამი მატჩი მოიგეს: სძლიეს უკრაინის ვიცე-ჩემპიონ კიევის „ფენიქსს“ (17:0),

ოდესის კლუბებს – „აგროუნ-ვერსიტეტსა“ (34:0) და „ანატარს“ (31:5), ხოლო ორი შეხვედრა დათმეს – ყაზახეთის „ოლიმპთან“ (0:27), ოდესის „ოტრადასთან“ (0:40) და მე-3 ადგილი დაიკავეს. პირველობა „ოტრადას“ ხვდა, მეორეზე ყაზახები გავიდნენ.

საქართველოს შეიქმნა ნაკრები 8-9 ივნისს ჩეხეთში ევროპის ჩემპიონატის „ა“ დივიზიონში ითამაშებს, მანამდე კი ამსტერ-დამის საერთაშორისო ტურნირში მოსინჯავს ძალებს.

ლაშა დიღია

ტერაქტი

ბოსტონის მარათონზე აფეთქება მოხდა

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ბოსტონის მარათონის დროს ფინიშის ხაზთან ახლოს ორი აფეთქება მოხდა. AP-ს ცნობით, შედეგად მინიმუმ 3 ადამიანი დაიღუპა, სპორტსმენთა და მაყურებელთა შორის კი არაერთი დაშავებულია.

აფეთქების ადგილას სამედიცინო კარავია გაშლილი, სადაც დაჭრილებს სასწრაფო დახმარებას უწე-

ვენ. როგორც ირკვევა, შემთხვევა ბოილსტონის ქუჩის ჩრდილოეთ ნაწილში მოხდა მაშინ, როდესაც მარათონის გამარჯვებულს ფინიშის ხაზი უკვე სამი საათის გადაკვეთილი ჰქონდა.

ცნობისთვის: ბოსტონის მარათონი 117-ედ იმართებოდა და მასში მონაწილეობას 20 ათას ადამიანზე მეტი იღებდა.

მანუჩარ გიორგაძე



ლეგიონარი

თორნიკე შენგელიას პირველი ორმაგი დუბლი NBA-ში

ბუშინ გამთენიისას ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში თორნიკე შენგელიას „ბრუკლინ ნეთსმა“ მორიგი მატჩი გამართა. ქართველი კალათბურთელის გუნდმა „ვაშინგტონ ვიზარდსს“ უმასპინძლა და 106:101 დაამარცხა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების და „ბრუკლინ ნეთსის“ მძიმე ფორვარდმა თორნიკე შენგელიამ კი ნბა-ში სარეკორდო დრო 25 წუთი და 25 წამი ითამაშა და პირველი ორმაგი დუბლი მიითვალა – 11 ქულა, 11 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება დააგროვა.

თორნიკე სასტარტო შემადგენლობაში არ ყოფილა. 13-დან 5 ორქულიანი და 3-დან ერთი საჯარიმო ჩააგდო, რასაც თავდასხმაში 5 დასაკუთარ ფარ-



ზე 6 მოხსნა მიუმატა და მარგი ქმედების კოეფიციენტით (+19) საკუთარ გუნდში საუკეთესო იყო. ბრუკლინელთა რიგებში 20-20 ქულით კრის ჰამფრისი და ანდრე ბელიჩი გამოირჩნენ, 14-14 ქულა კი მირზა ტელეტოვიჩმა და ტაიშონ ტელიორმა მიითვალეს.

გიორგი შოთაძე

კალათბურთი

უკვე გაუწყეთ, რომ სუპერლიგის პლეი-ოფების დაწყებამდე ქუთაისის ყველა ვარსკვლავის ტრადიციულ მატჩსა და შოუს ელემენტებით გაჯერებულ კონკურსებს (სამქულიანები, ბურთის კალათში ჩატენვა) უმასპინძლებს, ხოლო ღონისძიება „ოლსთარზის“ საუკეთესო მოთამაშის გამოვლენით დაგვირგვინდება, რომლის ვინაობასაც საგანგებო ყიური დაასახელებს.

ვითვალისწინებთ რა სპორტის მოყვარულთა ცნობის მოყვარეობას, დღეს გთავაზობთ იმ კალათბურთელთა ნუსხას, საიდანაც გულშემატკივრები ქართველთა და ლეგიონერთა გუნდების სასტარტო ხუთეულებს, ხოლო მწვრთნელები – დანარჩენ 7-7 წევრს აირჩევენ.

ძარბაველები

უკანასაზღვრები: ბესო ლეჟავა, ლაშა ფარლავა, ბექა ნივინიძე, გიორგი გამყრელიძე (ყველა – „არმია“), ლევან ცეკვაძე (სოსთავი), გივი ბაქრაძე (თსუ), ირაკლი მიქელაძე („ოლიმპი“), რევაზ როგავა (შსს აკადემია), ნიკა რამიშვილი („ბათუმი“), თეიმურაზ ბაბუ-

ნაშვილი („ქუთაისი“), გრიგოლ შვანგირაძე („სოხუმი“).

ფორვარდები: ანატოლი ბოილა, ზვიად ბაბიაშვილი, ირაკლი საყვარელიძე (ყველა – „არმია“), ლევან ფაცაცია, მიხეილ ბერიშვილი, კოკა ტომარაძე (ყველა – „ოლიმპი“), რევაზ დიღია, გიორგი და დავით ბარბაქაძე-

„არმია“), რევაზ ათანელიშვილი („რუსთავი“), აკაკი დვალისვილი („ოლიმპი“), რიჩარდ მათი-აშვილი („ქუთაისი“).

ლეგიონერები

უკანასაზღვრები: დეონტა ვონი (შსს აკადემია), ლამარ კარინი („დინამო“), ბოშკო სტოიანკოვიჩი („სოხუმი“), ზაურ ფაშაევი („ქუთაისი“), სტენ სოკი („ოლიმპი“), ნეით ბოუი („რუსთავი“).

ფორვარდები: კაილ ნელსონი, იოვან სტეფანოვი, ჟოლივეტ ტოუჯანი (ყველა – „რუსთავი“), ჩად პრევიტი, ბენჯამენ რეიმონდი (ორივე – შსს აკადემია), ფლინ კლაიბენი, ქინგ კარტერი (ორივე – „დინამო“), მარტინას ანდრიუკაიტისი („ოლიმპი“), სერჟ ასელაი-

ნი (თსუ). ცენტრები: მილან ოლუჩიჩი („დინამო“), კირკ არჩიბეკი (შსს აკადემია), სტევენ მილოშევიჩი („ოლიმპი“).

შეგახსენებთ, რომ თქვენთვის სასურველი კანდიდატებისათვის ხმის მიცემის პროცედურა სუპერლიგის ოფიციალურ ვებ-გვერდზე 19 აპრილს 12 საათზე შეწყდება.

ვიტალი ჯაფარიძე

პინ - პის?



ები (ყველა – „ქუთაისი“), ირაკლი ჩლაიძე, გრიგოლ შვანგირაძე (ორივე – „სოხუმი“), ირაკლი კვიციანი, ბექა ჩიკვილაძე (ორივე – „დინამო“), ზვიად ანთაძე (შსს აკადემია).

ცენტრები: ბექა ბეჭაური, ილია ლონდარიძე (ორივე – შსს აკადემია), სერგო ათუაშვილი, ვახტანგ ქადარია (ორივე – „სოხუმი“), გიორგი შარაბიძე, გიორგი ჯგერენია (ორივე –

სამთო თხილამურება

პრიზიორთა გაღერება

საძარბაველს სამთო მოთხილამურებმა წლებულს ეროვნული თასის გათამაშებაში ექვსი ეტაპი მოილიეს და მათი ჯამით სამ ასაკში გამარჯვებულები და პრიზიორები გამოავლინეს. გაუწყებთ რჩეულთა ვინაობას:



1999-2000 წლებში დაბადებულნი. გოგონები. 1. თამარ ბარბარიანი (ბაკურიანი, 246 ქულა), 2. კატო გოცირიძე (გუდაური, 204), 3. ქეთი მიქაბერიძე (ბორჯომი, 181). ბიჭები. 1. გიორგი კურტანიძე (221), 2. ლაშა კურტანიძე (ორივე – ბაკურიანი, 199), 3. დათო ნაზლაიძე (გუდაური, 198).

1997-1998 წლებში დაბადებულნი. გოგონები. 1. ნუცა ხურცილავა (გუდაური, 235), 2. მარიამ ჭკადუა (მესტია, 160), 3. ანა გორდუზიანი (გუდაური, 152). ბიჭები. 1. გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი, 250), 2. ბესო ჯაფარიძე (მესტია, 152), 3. გოჩა ჯორბენაძე (აჭარა, 124).

1996 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი. გოგონები. 1. სუსანა გავა (ბორჯომი, 295), 2. ნატა მელაძე (გუდაური, 230), 3. შორენა ჯორბენაძე (აჭარა, 174). ვაჟები. 1. დათო სეთურიძე (გუდაური, 173), 2. კოტე ვახტანგიშვილი (ბორჯომი, 140), 3. შოთა ნათაძე (გუდაური, 112).

გივი გაბუა

დედაქალაქი

გასწორებული ნიშნები

„საზომადობრივ ტრანსპორტს“ ეს სახელი იმით აქვს დარქმეული, რომ იგი ხალხის სამსახურში, თანაც მგზავრებისთვისაც და მომლოდინეებისთვისაც მაქსიმალურად კომფორტული უნდა იყოს.



ავტობუსების გაჩერების ადგილები თბილისელებისთვისაც და დედაქალაქის სტუმრებისთვისაც არსებული სათანადო ნიშნებით აღვსილი მისაგნებია, თუმცა კი ზოგიერთგან მძღოლები სატრანსპორტო საშუალებას მგზავრთა მოთხოვნის შემთხვევაში აჩერებენ. თუ ასეთი მოთხოვნა ან მგზავრის, ანდა ავტობუსის მომლოდინეს მხრიდან არ არის, მძღოლი ავტობუსს არ აჩერებს და დადგენილი მარშრუტით მოძრაობს. ბუნებრივია, რომ ასეთი მოთხოვნით გაჩერებების ადგილები სათანადო ნიშნითა აღნიშნული, რაც თბილისის მერიის სატრანსპორტო სამსახურმა თავის დროზე უზრუნველყო კიდევ, თუმცა კი თითქმის ყველგან ეს ნიშნები უკულმა იყო დაყენებული. ასეთ „იალიშს“ გამოსწორება უდავოდ სჭირდებოდა, მაგრამ სახსრების უქონლობის გამო ამის გაკეთება, ცოტა არ იყოს, გაჯანჯლდა. ამის თაობაზე ჩვენმა გაზეთმა თებერვალში კრიტიკული მასალაც გამოაქვეყნა, რაც მერიის სატრანსპორტო სამსახურის მესვეურებსაც ცალკე ვაცნობთ და მათ ამ ხარვეზის გამოსწორების პირობაც მოგვცეს. ახლა კი საიმოვნებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს უხერხულობა ფაქტობრივად ყველგან მოხსნილია, სათანადო ნიშნები სწორად დაიდგა, რასაც აღვნიშნავთ კიდევ და სხვა დროს მსგავსი შეცდომების თავიდან ასაცილებლად მერიის სამსახურების თანამშრომლებს მეტი გულისყურის მიდევნებისთვის მოვუწოდებთ.

ირაბ ირეაპაშვილი

ფოტოგრაფიკა

უხამიანი მამაკაცების აღსაგებობა

თბილისის ერთ-ერთი ცენტრალური, დეზერტირების სახელით ცნობილი ბაზრის განსწავლვად დედაქალაქის მოსახლეობა წლების მანძილზე ელოდა და აგერ უკვე თითქმის ერთი წელი ხდება, რაც ის სრული დატვირთვით ამოქმედდა.

ბუნებრივია, რომ ამან იქაურობას იერსახე ერთიანად შეუცვალა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამყიდველებიც და მყიდველებიც ერთიანად კომფორტულ გარემოში მოაქცია, მაგრამ ყველაფერ ამას ერთი ისეთი ამბავი ახლავს, რომ მთელი სიკეთე ლამის წყალში იყრება. მხედველობაში გვაქვს ის ვითარება, რომ სურსათი, ვთქვათ ხილი, ზოგიერთი ბოსტნეული ან სხვა, დროულად თუ არ გაიყვანა, მას პირდაპირ მანქანებიდანვე ყრიან სანაგვე ყუთებში. ეს, თავისთავად, ასეც უნდა ხდებოდეს, მაგრამ უბედურება ისაა, რომ შემდგომ ამ საქონელს ვიღაც-ვიღაცები ისევ გაყიდვაში აბრუნებენ: სანაგვეებიდან იღებენ, ასე ვთქვათ, „რეაბილიტაციას“ უტარებენ და იმავე ბაზარში, ან სხვა ადგილებში მესამედ ფასად კვლავ სთავაზობენ ხალხს. აქვე საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ ეს უბედურება ძირითადად თურქეთიდან შემოტანილ პროდუქციას მოსდის: ტრაილერებით ჩამოტანილი საქონელი ისედაც გაჯერებულია ნიტრატებით და როცა ბითუმად მისი გაყიდვა ვერ ხერხდება, მას, ბუნებრივია, ყრიან, უნაშუსო ხალხი კი (მათთან არანაირი ბოდიშის მოხდა არ გვინდა) ისევ ჩვენზე ასაღებენ და, რომ იტყვიან, ნელი სიკვდილით გვკვლავენ. ამის არაერთი მაგალითის მომსწრე გავმხდარვართ, რაზეც, რომ იტყვიან, განგაშის ზარს ვტყუთ. ამ უმსგავსობას, რომელიც მავანთა სიხარბის ნაყოფია, აუცილებლად ყურადღება უნდა მიაქციოს დედაქალაქის მერიის სათანადო სამსახურებმა, საპატრულო პოლიციამ, სურსათის უვნებლობის ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულმა სამსახურმა, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებლობამ, მოკლედ, ყველა იმ სამსახურის წარმომადგენლებმა, ვისაც თანამოქალაქეთა ელემენტარულ უსაფრთხოებაზე ზრუნვა სამსახურებრივად მოეთხოვება. დიდი იმედი გვაქვს, რომ ამ კრიტიკულ მასალას თავად დეზერტირების ბაზრის ადმინისტრაციაც მიაქცევს ყურადღებას და გაფუჭებული საქონლის გადაყრას მოვამჩნევს ისეთ ადგილებზე დაავალდებულებს, საიდანაც მისი „სამამაძალოდ“ წამოღება შეუძლებელი იქნება.

ენო ალექსანდრია  
ელგუჯა ნაბარბიშვილის ფოტო.



ჩვენი კარგადიანი

1. შეიძლება, ოღონდ ფრთხილად

მამის ტიპის შაქრიანი დიაბეტი. როგორ ვიკვებო, რომ არ გავაძლიერო დაავადების განვითარება? სწორია, რომ დიაბეტი დაავადებულზე სულ არ უნდა ჭამონ ხილი და კარტოფილი?

თინა სარიშვილი, გორი.  
გვიბასუხებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ექიმი-ენდოკრინოლოგი ბიორბი კაპანაძე:

– თქვენ, უნდა იხსნათ ყოველგვარი, რაციონიდან უნდა ამოიღოთ ადვილად ასათვისებელი ნახშირწყლები (ტკბილეული, შაქარი, ნაზუქეული, წვენი), შეცვალოთ ისინი ნელა ასათვისებლებით (მარცვლეულის პური, მაკარონი ხორბლის მაგარი ჯიშებიდან, ბოჭკოვანი ბურღული). ფრთხილად იყავით დიეტურ ტკბილეულებთან: თუ ისინი არ შეიცავენ შაქარს, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ შეგიძლია მიირთვა ისინი შეუზღუდავად.

შაქრის დიაბეტის დროს სასარგებლო იქნება ბოსტნეული, სასმელებიდან – მწვანე ჩაი, რომელიც მდიდარია კატეჩინებით, რაც წინააღმდეგობას უწევს ცხიმების დაგროვებას. რაც შეეხება ხილს, თქვენი დაავადების დროს იგი ნებადართულია (ნესვის, ბანანის, ყურძნის, ინდის ხურმის (ფინიკის) გარდა), მაგრამ მხოლოდ შეზღუდული ოდენობით: მაგალითად, დღეში შეიძლება შეჭამო 1 ვაშლი, მსხალი ან გრეიფრუტი (ეს უკანასკნელი, სხვათა შორის, კარგად ანესრიგებს ორგანიზმში ცხიმოვან ცვლას). კარტოფილიც არაა აკრძალული, მაგრამ არა შემწვარი სახით და ცოტა ოდენობით.

თუმცა, აქ ყველაფერი ძალიან ინდივიდუალურია – ერთ ადამიანში თუნდაც ერთმა შეჭმულმა მანდარინმა შეიძლება გამოიწვიოს სისხლში შაქრის მკვეთრი ანევა, მეორემ კი შეიძლება ნახევარი კილო ციტრუსი შეჭამოს და ეს ანალიზზე არ აისახება. ამიტომ იმ ადამიანებისთვის, ვისაც შაქრიანი დიაბეტი აწუხებთ, უკიდურესად აუცილებელია მუდმივად აკონტროლონ სისხლში შაქრის დონე. ასეთი დაავადების დროს ცილოვანი (განსაკუთრებით ხორცისა) პროდუქტები უმჯობესია შევამციროთ. ნახშირწყლების უკმარისობის დროს ეს ნივთიერებანი შეიძლება წარმოიქმნან ცილისგან. არც ცხიმები უნდა გამოვიყენოთ ბოროტად, თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მივიდეთ აბსურდამდე და ვვღებოთ მხოლოდ კომბოსტო და სტაფილო. რაციონში ცხიმების უქონლობის დროს ხომ შეიძლება დაზიანდეს ნაღვლის ბუშტი, დაიწყება ქვების წარმოქმნა. ერთი სიტყვით, რეზიუმე ასეთია: მიირთვით პრაქტიკულად ყველაფერი, თუმცა ცოტა ოდენობით და ნურც პერსონალური გლუკომეტრით ყოველდღიურ სარგებლობას დაიცინებთ.

2. გაიარეთ დამატებითი გამოკვლევა

ჩემი დაქალი და მისი შვილი კარდიოლოგთან ივანე გაიკეთეს ელექტროკარდიოგრამა. გამოკვლევის შემდეგ ექიმმა თქვა, რომ ბიჭს გულის თანდაყოლილი მანკი აქვსო. მე კი ცოტა მეჭვჭვება. განა შეიძლება ასეთი დიაგნოზის დასმა მხოლოდ ერთი ელექტროკარდიოგრამით?

თამარ ბარკინიშვილი, სენაკი  
გვიბასუხებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ექიმი-კარდიოლოგი თამაზ სინბარულიძე:

– არა, ეს აშკარად არასაკმარისია. ზუსტი დიაგნოზის დასმისთვის აუცილებელია პროცედურების კომპლექსი: ელექტროკარდიოგრამა, გულმკერდის რენტგენოგრაფია და ყველაზე მეტად ინფორმატიული მეთოდი – ექოკარდიოგრამა (ულტრაბერითი გამოკვლევა, რომელიც თვალსაჩინოდ აჩვენებს გულის შიდა ანატომიას და მუშაობას). დიაგნოზის დასაზუსტებლად ზოგჯერ საჭიროა გულის ღრუს ზონდირება და ანგიოკარდიოგრაფია (გამოკვლევა პერიფერიული ვენის ან არტერიის გავლით რენტგენკონტრასტული ნივთიერების შეყვანა კათეტერით). მოდით, თქვენმა დაქალმა უჩვენოს ბავშვი პროფილურ სამედიცინო ცენტრში, სადაც მას ჩაუტარებენ ყველა აუცილებელ გამოკვლევას.

3. გადაწყვიტე მოქმედებათა დრო

ბაბაშაშა მუდმივად ანგინამ. ყოველ ნახევარ წელიწადში – გამწვავება. სულ ექიმებთან ვარ. ყველაფერი დროებით მიწინარდება, რამდენიმე თვის შემდეგ კი – ხელახლა. რატომ ხდება ასე? ნანა ჯინჯიშვილი, ოზურგეთი

**გ ა ნ ს ხ ა დ ე ბ ა**  
2013 წლის 25 აპრილს დღის 11 საათზე განმეორებით დანიშნულია სააქციო საზოგადოება „ყვარელის“ აქციონერთა საერთო კრება.  
დღის წესრიგი:  
1. 2012 წლის წლიური ბალანსის განხილვა;  
2. სხვადასხვა საკითხები.  
მისამართი: ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის ქ. №72.

გვიბასუხებს უმაღლესი კატეგორიის ექიმი-ოტოლარინგოლოგი ბიძინა აბაშვილი:

– ანგინა – ეს არის დაავადება, რომლის დროსაც ნუშისებრი ჯირკვლების ანთება ხდება. ეს წყვილი ორგანო გვიცავს ჩვენ გარე მიკრობების შეღწევისგან. ანგინის დროს, ხატოვნად რომ ვთქვათ, ხდება ორგანიზმის „ციხესიმაგრის“ შეტევა დაავადების წარმოქმნელი მიკრობებით. თანაც შეტევა დროებითი ხელში ჩაგდება. ხოლო თუ ადამიანს ანგინები ხშირად უჩნდება, მიკრობები ამ „ციხესიმაგრიდან“ არც მიდის, უბრალოდ დროებით წყნარდებიან. ფხვიერი, დიდი, მიკრობებითა და ჩირქით გატენილი ნუშისებრი ჯირკვლები ზიანს აყენებენ მთელ ორგანიზმს და აუცილებელია მათი მოშორება. თუ ამას არ გავაკეთებთ, ადრე თუ გვიან, ხდება გართულებები სხვა ორგანოებში: ვის რევმატიზმი შეეყრება, ვის – გლომერულონეფრიტი, ეს უკვე ვის როგორ „გაუმართლებს“.

4. სადავო „სოლოდუნი“

მუშისმიწი, რომ სახსრებში ტკვილების პროფილაქტიკისთვის საჭიროა ხშირად მივირთვათ „სოლოდუნი“. ის მართლად დაგვეხმარება?

მ. მარტოშვილი, გურჯაანი  
გვიბასუხებს გასტროენტეროლოგი ძსენია თამარტიშვილი:

– გარკვეულწილად ლაბა სახსრებისთვის შეიძლება სასარგებლო იყოს. მასში არის ნივთიერება, რომელიც ჰგვანან იმას, რისგანაც შედგება ჩვენი ხრტილები. მაგრამ ამ კერძით გატაცება არ ღირს, განსაკუთრებით ხანდაზმულ ასაკში. ლაბაში ბევრია ექსტრაქტიული ნივთიერება და ცხოველური ცხიმები, მათ შორის ქოლესტერინიც. მიწი რეგულარული მიღებით შეიძლება გაიზარდოს ზედმეტი წონა და უარესდება სახსრების მდგომარეობა. ასეთი კვება შეიძლება ასევე არახელსაყრელად აისახოს კუჭის, ღვიძლისა და თირკმელის მდგომარეობაზე.

ართროზის პროფილაქტიკისთვის უმჯობესია მივიღოთ სამეურნელო პრეპარატები, რომლებიც შეიცავენ ისეთ ნივთიერებებს, როგორებიცაა ქონდროიტინი და გლუკოზამინი. პროდუქტებიდან ართროზის პროფილაქტიკისთვის სასარგებლო შეიძლება იყოს ყულე. მასში შემავალი ყულეატი კარგ გავლენას ახდენს ხრტილების სახსრებზე.

5. შორს ნაოჭები

თვალბაის გარშემო ძალიან მშრალი კანი მაქვს. მასწავლეთ, გეთავაზობ, როგორ მოვუარო მას სწორად?

თინა ნ. ყაზბეგი  
გვიბასუხებს კოსმეტოლოგი მარინა წულუკიძე:

– კანი თვალბაის გარშემო მეტად თხელია, აქ პრაქტიკულად არ არის ქონის ჯირკვლები. თანაც ეს ზონა საკმაოდ მოძრავია მიმიკის გამო: მუდამ ვხუჭავთ და ვახელთ თვალბაის, ვიჭმუნებთ, ვაცეცებთ თვალბაის. სწორედ ამის გამო იგი მალე კარგავს ელასტიურობას, ჩნდება ადრეული ნაოჭები. ძალიან ხშირად პრობლემები ამ ზონაში ჩნდება არასწორი მოვლის გამო. მაგალითად, ბევრი ქალი იცილებს კოსმეტიკას საპნისა და სხვა აგრესიული საშუალებების გამოყენებით, თანაც ძალიან იხეხავენ უპეებს ან იბანენ ძალიან ცხელ წყლით. საცხელი მოსაშორებლად უნდა გამოვიყენოთ სპეციალური საშუალებები სოლიუბილიზატორებით – ნივთიერებებით, რომლებიც კარგად ხსნიან ცხიმოვან კომპონენტებს და გვაშორებენ მათ.

თვალბაის ზედა და ქვედა უპეებზე უნდა წავისვათ უპეების სპეციალური საცხი. იგი ჰიპოალერგიულია, აქვს უფრო ნაზი ტექსტურა და გაჯერებულია დამატებითი კომპონენტებით. თუ ასეთი რამ არა გვაქვს, ის შეიძლება შეცვალოთ მცენარეული ზეთით – ზეთუნის, ქლიავის, ნუშის, რასაც უნდა დავუმატოთ E და A ვიტამინების რამდენიმე წვეთი, რომლებიც კანის გაახალგაზრდავებას უწყობენ ხელს. ზეთს ვისვამთ 15 წუთით, რის შემდეგაც მის შეუნოვებელ ნარჩენებს ვიშორებთ ქალაქის ხელსაბოცით. თვალის კანს კარგად ატენიანებს ასეთი ნიღბი: 2 სუფრის კოვზ სელის თესლს უნდა დაეახლო 1 ჭიქა ცივი წყალი, დავდგათ ცეცხლზე და ვადულოთ კისელის მსგავს მასად გახდომამდე. შემდეგ განურთ და წანისვით ასანთის ლერზე ბაბის ნახვევით. 20 წუთის შემდეგ მოიბანეთ თბილი წყლით, შემდეგ კი – გადაივლეთ ცივი წყალი.

**რეკლამა ბ. ანკვალიანის ქ. №19.**  
„საქართველოს რესპუბლიკაში“  
299-62-77;  
599 32-85-76.

ცხსტი

დეზულოტო კმაყოფილებას ცხოვრებისგან?

ცხსტი დაგეგმარებათ, უპასუხოთ ამ შეკითხვას



- 1. თქვენი აზრით, გაქვთ ნიჭი, რომელსაც მთლიანად ვერ იყენებთ?
2. პერიოდულად გიჩნდებათ შეგრძნება, რომ ცხოვრება განზე გტოვებთ?
3. უგერგილო ადამიანები გალიზიანებენ?
4. გინდათ, რომ გქონდეთ მეტი ვალდებულებები?
5. ზოგჯერ გიჩნდებათ სურვილი დაარტყათ ადამიანს?

- ა) დიახ; ბ) არა.
6. ხშირად არის სოლმე, რომ დილიდანვე უხასიათოდ ხართ?
7. შეგიძლიათ იყოთ უკმაყოფილო, რომ ბევრი განუხორციელებელი იდეა გაქვთ?
8. თქვენი საქმიანობა ამჟამად დაკავშირებულია იმასთან, რაზეც ოცნებობდით 18 წლის ასაკში?
9. სავსებით კმაყოფილი ხართ თქვენი სექსუალური ცხოვრებით?
10. ხშირად ხდება სოლმე, რომ გალიზიანებთ სხვა ადამიანების ჩვეულებები?
11. შეინარჩუნეთ ფიგურა წარსულთან შედარებით?
12. ხშირად გრძნობთ, რომ თქვენს ცხოვრებაში რაღაც გაკლიათ?
13. მზად ხართ თქვათ, რომ ამავლობა თქვენი მიღწევებით?
14. მომავალს ოპტიმიზმით უყურებთ?
15. ხშირად გეუფლებათ მოწყენილობა?

ყოველ პასუხზე „ა“ დაიწერათ 0 ქულა. პასუხზე „ბ“ - 2 ქულა. შეაჯამეთ ქულები და გაესაწიოთ დასკვნებს

0-12 ქულა. ალბათ, ღირს შეეცადოთ, შეიცვალოთ დამოკიდებულება ცხოვრებისადმი. გაიხსენეთ, რა მიზნები და ოცნებები გქონდათ. თუ რომელიმე არ განხორციელდა, ეს არ არის საბაზი სასონარკვეთილებებისთვის. საჭიროა მხოლოდ მონახოთ ახალი მიდგომა სასურველი მიღწევისადმი. დაისახეთ ამოცანები, რომლებიც არ არიან მოწყვეტილი რეალობას, მაშინ ჩაფიქრებულის რეალიზაციის პროცენტი განუზომლად დიდი იქნება?
14-22 ქულა. ზოგჯერ ძალიან სერიოზულად მიგაქვთ გულთან ისეთი რამეები, რაც კაპი-

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

ანეკდოტები

— იძიებ, დამენმარეთ, ჩემს ქმარს დევნის მანია სჭირს.
— ექიმმა მას ტაბლეტები გამოუწერა და გაისტუმრა. რამდენიმე წლის შემდეგ ისინი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს.
— უშველა თქვენს ქმარს წამალმა? — ჰკითხა ექიმმა.
— არა, ერთი კვირის წინათ იგი დააპატიმრეს და მთელი ქონებაც ჩამოართვეს.
— ძალიშვილი, გათხოვილი ბრძანდებით?
— ეს უკვე მეტისმეტია თქვენ გინდათ, რომ თან ქალიშვილი ვიყო და თან გათხოვილი?
გამოცდებისწინა ღამეა. პროფესორის ბინაში ტელეფონი რეკავს.
— გისმენთ! — გალიზიანებული მძინარე ხმით უპასუხებს პროფესორი.
— გძინავს, ხომ შე ნაგავო!
— ?!
— ჩვენ კი ვმეცადინებოთ.
— რას შეუკვთავთ? — ეკითხება ოფიციალტი კლიენტს.
— ჯერ მენიუ მოგვტანეთ.
— მენიუს არ ვარიგებთ. თუ კითხვა გინდათ, ბიბლიოთეკაში მიბრძანდით.
— მითხარბით, თქვენი და სიმბათიურია თუ თქვენა გგავთ?
— თქვენს პალტოს მოკლე სახელოები აქვს თუ, უბრალოდ, ძველია?



ჩვენი პრესდაიჯესტი

გაქმნიან ვახუშტის



„ვანო მერაბიშვილი რუსეთის სადაზვერვო სასახურის დაკვირვებას ასრულებს“

— შინაწინა გოგა ხანდრავას, — რუსეთის დაკვეთა იყო ის, რასაც აკეთებდა სააკაშვილი, რუსეთის დაკვეთა იყო ის, რასაც აკეთებდა მერაბიშვილი და რასაც ახორციელებდა ყოველდღიურად თავისი საქმიანობით. ნუთუ არსებობს ქვეყანაში ადამიანი, რომელსაც აქვს ეს საკითხი? ასევე ახლაც — მერაბიშვილი რუსეთის სადაზვერვო სამსახურის დაკვეთებს ასრულებს. დღევანდელ ქართულ რეალობაში მაგალითის მიძევი და იმედის მატარებელი, ჩემთვის არის თვა წულუკიანი. მე მინდა ჩვენს მთავრობას მივმართო და ვუთხრა, რომ მიბაძეთ მას, ამ პატარა გოგოს! აი, ასე უნდა საკუთარი ქვეყნის მსახურება და საკუთარი ქვეყნის ერთგულება, უშიშრად, მტკიცედ და სიმართლით ხელში.
„ახალი თაობა“

სათუნა კალმანელიძის ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრის მოწვევის მცდელობის დამოკიდება

ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ მისი სიმამრის მოწვევის მცდელობის საქმეზე გამოძიება მალე დასრულდება. შს მინისტრის სიმამრის, გენერალ თამაზ თამაზაშვილის ყოფილი თანამესაკნის ვუბარ ალიევის აღიარებით ჩვენების მიხედვით, ამ საქმეში მთავარი ფიგურაა სათუნა კალმანელიძე და ციხის უფროსი ხუჭუა. ისინი ინსტრუქციებს პერიოდულად იღებდნენ, სავარაუდოდ, მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ადვიშვილისგან.
„ალია“

საგადასახადო შეღავათები სავციალურად სოფლის მეურნეობისთვის

საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები მზადდება. სოფლის მეურნეობის წარმოება დღეს-სა დადარსადისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლება, ხოლო თუ წარმოების ბრუნვა 200 ათასი ლარია, მწარმოებელი საგადასახადო შეღავათებით 2017 წლამდე ისარგებლებს. ამასთანავე იგეგმება, საგადასახადო კოდექსის ადმინისტრაციული ნაწილის გამარტივება.
„რეზონანსი“

იურიდიული კონსულტაცია

რუბრიკას უძღვება „სამართლის რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი

კითხვა: ვარ 15 წლის, 1 თვის წინ გარდაიცვალა დედა, რომელსაც შრომის სტაჟი არ ჰქონდა (იყო დიასახლისი). მეზობელმა მიიხრა, პენსია გეკუთვნის, მაგრამ მამამე ვერ საბუთები არ წარუდგენია, მგონი, უსტაჟოდ არ ინიშნება. ბებია მირჩია, თქვენთვის მომეზარა. გთხოვთ, მაცნობოთ, მეკუთვნის თუ არა პენსია დედის გარდაცვალების გამო?
სალეო მამაგაიშვილი

პასუხი: დედის გარდაცვალების გამო პენსია ყველა შემთხვევაში გეკუთვნის. გირჩევთ, მამამ ან თქვენმა რომელიმე ახლობელმა აღნიშულ საკითხზე დაუყოვნებლივ მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ სამსახურს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სასწრაფოდ მიმართვას იმითომ გირჩევთ, რომ თუ თქვენი დედის გარდაცვალებიდან 3 თვის ვადაში მოხდება აღნიშნული ორგანოსთვის მიმართვა, პენსია მარჩენალის გარდაცვალების დღიდან დაგენიშნებათ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი — განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენის დღიდან.

კადრი



ავტორთა საშუალოდგომად რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს ატვირთავს ავტორები.
საქართველოს რესპუბლიკა
გ. ახვლედიანის (მთვლილი პერმისკაიას) ქ. 19
056434 66434
გამომცემელი: შპს „თანადგომბა“-1 გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორი“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)
ua(უა) 070 4(479.22) ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 1385001
მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86
პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიგაშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; სპარტაკ ძოგუბია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი მამუკა მამუკიძე 514 33-33-24